# რუბიკონი

კვირეული ორგანო

სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირი

№ 5

კვირა 18 თებერვალი 1923 წ.

მისამართი: ტფილისი. ხელოვნების სასახლე სერგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

ფასი 10 ათასი მან


## გრიგოლ რობაქიძე.

„ყოველი რაც ითქმის ადამიანზე, თუ კი არ არის მასში მიკერძოება სიყვარულის, არ არის ღირსი ყურადღებისა."

გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის ჩემი დიდი სიყვარული; მაგრამ გრიგოლ რობაქიძის შესახებ არ არის საჭირო მიკერძოება, რადგან მისი სახელით ლაპარაკობს თითონ პოეზია.

უცნაურია ბედი გრიგოლ რობაქიძის—პოეტის.

გრიგოლ რობაქიძე თავიდანვე მიღებულ იქმნა საქართველოში როგორც მოაზროვნე, როგორც ესთეტი, როგორც ორატორი. მაგრამ ძვირად თუ ვინმე აფასებს, რომ გრიგოლ რობაქიძე ყოვლის უწინარეს არის დიდი პოეტი.

მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს არ ესაჭიროება მიღება პოეზიის კათაკმეველთაგან. იგი თავისი ხედვით ზომავს საუკუნეებს. ხოლო თანამედროვე პოეზიამ იგი აღიარა როგორც თავისი მეტრი.

ახალ ქართულ პოეზიაში არ არის მეორე, რომელსაც ჰქონდეს ასეთი მძაფრი, და ამავე დროს ასეთი უცთომელი გზნება ქართული სიტყვის. გრიგოლ რობაქიძის სიტყვაში თითქოს გაიხსნა პირველი სათავე, პირვანდელი წყაროსთვალი ქართული მეტყველების. მასში განახლდა ბევრი თესლი ქართული სიტყვის. გრიგოლ რობაქიძის ქართული არის აღსავსე პირვანდელი სიქალწულით.

გრიგოლ რობაქიძე არ მიდის სიტყვასთან როგორც არტისტი, არამედ იგი თვით გამოდის სიტყვიდან როგორც რიტმი, და როგორც პოეტი.

გრიგოლ რობაქიძის პოეზიაში არის ახალი და განუმეორებელი მიმღეობა მსოფლიოსი;

ასე: მე ცოტა მეგულება მთელს თანამედროვე პოეზიაში ისეთი შთაგონებული ლექსი, როგორც არის „ორლობის ეშაფოტი". აქ არის პატმოსის ხილვა. ამ ლექსის ეპილეპტიური რიტმის რხევაში იბადება ნამდვილი ჩვენება აპოკალიპსის მეწამული ცხენების.

ან მისი ლექსები მზის ციკლის: აქ არის მოცემული განუმეორებელი გზნება მზისა, როგორც ცეცხლოვანი დრაკონის.

ან „ტფილისის ხერხემალი": ეს შეუდარებელი ორატორიუმი ისეთივე მონუმენტალური ძეგლია ქართული პოეზიისა, როგორც არის რუსულ პოეზიაში პუშკინის „სპილენძის მხედარი". აქ არის უკანასკნელი თავის—დადგინება ქართული ეროვნული იდეისა.

ან მისტიური ხორალები: „მიწის სჯული", „წმიდა ნინო". აქ გამოჭრილია ვაზის ნასხლევიდან ჯვარი, და ცხელი ქრილობა შეხვეულია ქალწულის თმებით.

ეს სახეები იწვევს შთაგონებას...

აღვნიშნავ შემდეგსაც:

გრიგოლ რობაქიძეში ჩემს გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ მან სძლია საბედისწერო სიბერწეს ქართული გენიისა. გრიგოლ რობაქიძე ახალი ქართული პოეზიის ფალანგაში არის ყველაზე ხნოვანი. მაგრამ როდესაც მასზე უფრო ახალგაზდანი ჩემში იწვევენ ზოგჯერ შიშს, რომ ისინი შესაძლოა ამთავრებენ კიდეც თავიანთ ციკლს, გრიგოლ რობაქიძე გვევლინება როგორც ახალი რქა-ნაყარი ვენახი.

გრიგოლ რობაქიძე შთაგონების ავსილობით არის ყველაზე ახალგაზრდა პოეტი ჩვენი თაობის, და იგი ყველაზე მეტს მოულოდნელობას ფარავს თვის შიგან. და მე მჯერა რომ მისი შემოქმედების „დიდი შუა-დღე" ჯერ კიდევ წინ არის..

საუბარი გრიგოლ რობაქიძეზე დიდ პასუხისგებას შეიცავს. ეს ნიშნავს გადააფასო ბევრი სახელები და ბევრი ღირებულება. მე კიდევ ვიტოვებ სიტყვას გრიგოლ რობაქიძეზე. და ეს შემთხვევითი სტრიქონები იყოს პროლოგი ამ სიტყვის.

პავლე ინგოროყვა.

16—II



გრიგოლ რობაქიძე

(„ლონდა"-ს დადგმის გამო)

### გრიგოლ რობაქიძეს.

ჩვენ როცა გავჩნდით შვადლის საქებათ,
ჩამოეყუდენ მზიდან სვეტები.
ხვატი. მდუღარე პაპანაქება,
ტვინს გვიდაღავდა ოქროს წვეთებით.

კიდევ გვაბრმავებს—ზეცის განგებით
ჩამონგრეული მადნის წყალობა!...
მე ტან-ანთებულ ფარშავანგებით,
მოგართვი შვადლის კარდინალობა·

ატეხილია მიწა ზვიადი,
კენტავრის სირბილს—„ლილლეს" აყოლებ.
ატარებ როგორც ალკივიადი
ცხელ, გახურებულ დერიდახოლებს.

სჭრი ლექსებს, მაგარ, რკინის ლვედებათ.
და გვაბარბაცებ სიტყვის შანთებით;
საქართველო კი გეიმედება
ირრუბაქიძის გადანათებით.

პაოლო იაშვილი.

16. 11. 23

## ლონდა.

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და შემოქმედება—არის ცხოვრება წმიდანის. ასეთ პიროვნებაზე იწერებოდა წინათ „ცხოვრება წმიდათა", რომლის საუკეთესო ნაშთადაც დარჩენილია გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა. მე ვამზადებ წიგნს „გრიგოლ რობაქიძე—აპოლოგია", რომლის შესახებ ვიტყვი, მხოლოდ რომ იქ არის 27 ტეზისი. ამიტომ ვერიდები საგაზეთო წერილის დაწერას, მაგრამ დღეს მე მინდა ვსთქვა ჩემი სიტყვა „ლონდა"-ზე.

ამ ოთხი წლის წინათ გრიგოლ რობაქიძემ თავის ემიგრანტობიდან ყაზახში ჩამოიტანა მისტერია „ლონდა". მე მაშინ კახეთში ვიყავი, როცა წავიკითხე ქრონიკაში, რომ გიორგი მაჩაბელის სალონში ტფილისის საუკეთესო არტისტების და მწერლების წრეში წაკითხულ იქმნა ეს პიესა.

მთელი ტფილისი მაშინ ლაპარაკობდა ლონდაზე. 1921 წელს დეკემბრის 10-ს გრიგოლ რობაქიძემ ეს პიესა წაიკითხა „ცისფერ ყანწელებთან" „ბარრიკადის" რედაქციის ბინაზე, სასტუმრო „კავკაზში".

მე, როგორც დღეს მახსოვს ეს შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ამ კითხვამ. პირველი დადგმა ამ მისტერიის მაშინ მოხდა „თეატრში—საკუთარ თავისთვის", პირველი დედანიც ამ პიესის, რომელიც დაწერილია ფანქარით აქამდე ჩემთან ინახება და მე ვაფასებ ამ ხელთნაწერს და სერგეი სუდეიკინის ავტოპორტრეტს, რომელიც მე მან მაჩუქა, როგორც არც ერთ საგანს, რომელიც მე ოდესმე მქონია.

ამ პიესაზე მე ვიცი—რომ გრიგოლ რობაქიძისთვის ის სანაცვალოა თავის ბავშის ალკასი.

ის მისტერია იწერებოდა ყაზახში, სადაც იმ ზაფხულს გრიგოლ რობაქიძე წასული იყო დასასვენებლად. ამ პიესაში მართლაც სჩანს პირველი შთაგონება და ბავშით სიხარული, რომელიც შემდეგ შეიქნა სიმბოლოთ. ამ პიესაში მოცემულია მიწის პირველი სუნთქვა, მზის თავის მოჭრა და ავარდნილი ბუღი. ეს მისტერია მზის გრიგოლ რობაქიძემ სპარსეთიდან ჩამოიტანა, სადაც ის იყო პერორინივით გადავარდნილი 1916 წელს.

მე მგონია, ქართულ პოეზიის კლასიკურ პერიოდის შემდეგ ეს პირველი მაგალითია, ქართველ პოეტის სპარსეთში ყოფნის. ეს შეიძლება ანალოგიით მიემსგავსოს პოლ გოგენის ტაიტში მოგზაურობას და პოლ კლოდელის ჩინეთში გადასახლებას. როგორც გოგენის სურათებს ალით აბრმავებს მზე და კლოდელის „ოქროს თავს" სწვავს დაღვლფილი მზე,

გრიგოლ რობაქიძის ლონდაც უპირველეს ყოვლისა არის მზის მისტერია—სადდასაჲ—მზის ძალლია, რომელიც ლოკავს პოეტს მისივე სონეტით.

ეს პიესა თავიდან ბოლომდე ერთი შელოცვაა ცეცხლის და მზის, ისეთი შელოცვა, რომელიც გვხდება ჩვენ ბრამანების რელიგიაში, ბაბილონის ასურეთის და ქალდეას რკინის ლურსმებით გაჩერებულ სატურნალიებში.

ეს არის შინაგანი გამართლება მისტერიის, მაგრამ რაც უფრო დამაბრმავებელია პიესაში და რაც კონგენიალურად იგრძნო რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, რომელიც სდგამს ამ მისტერიას—ეს არის სიტყვის რიტმი.

მე არ ვიცი და არც მიკითხავს გრიგოლ რობაქიძისთვის არის თუ არა ეს მისტერია „ლონდა" ასრულება იმ პლანის, რომელზედაც ის ოცნებობდა 1916 წელს... ეს ოცნება იყო, რომ მას სიმფონია გადმოეცა ზეპირათ საკუთარი თქმით.

ეს უნდა ყოფილიყო ახალი ორკესტრი ჯერ უნახავი და მოულოდნელი.

ვინც იცნობს გრიგოლ რობაქიძის სიტყვის ძალას და ორატორის პათოსს, მისთვის დასაჯერებელი იქნება, რომ მართლაც ეს სანახაობა იქნება თვალის დამაბრმავებელი.

ასეთ ცდას წერით ჩვენ ვხვდებით ანდრეჲ ბელლის „სიმფონიების" წიგნში, ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ეს ცდა საფლავში ჩაიტანა სტეფან მალლარმემ, რომელიც ყოველთვის დადიოდა კონცერტებზე და ფანქრით ხელში შლიდა მაგიურ ნიშნებს, რომელთაც უნდა მოეცათ მუსიკის სიმფონიის ეკვივალენტი სიტყვაში.

„ლონდა" დაწერილია ისეთი არქიტექტონიკით რომ მე მგონია შეუძლებელია აქ მონოლოგით გაშლა სიმფონიის—ალბად ეს იქნება საგანი გრიგოლ რობაქიძის შემდეგ მიღწევის.

მაგრამ სიტყვა „ლონდა"-ში მოდის როგორც ნიაღვარი, აქ ყოველი სიტყვა სცხოვრობს თავის პირველყოფილ სიცოცხლით, რომელიც პოეტმა მისცა მას, აქ ტყზა რომ არ იყოს უფრო დარბილებული შეიძლებოდა მართლაც გრიგოლ რობაქიძის საკუთარი თქმით გაშლილიყო „პატმოსის ორკესტრი". (ჯერ დაუბეჭდავი ლექსი „ტფილისის ხერხემალი", რომელიც მხოლოდ ერთხელ წაიკითხა გრიგოლ რობაქიძემ პრელუდიაა ამ ორატორია—სიმფონიის).

ყოველი სიტყვა „ლონდა"-ში გაჭედილია, როგორც „ხადდასაჲ" და მოცემულია იმ ხმის ძალით, რომლითაც ერთხელ მოსე აპობდა კლდეს კვერთხზე უფრო მაგარი შეძახებით.

უბრალო ფაქტის ანიშვნა იქნება ამის თქმა, რომ გრიგოლ რობაქიძის სიტყვა არის უდიდესი მიღწევა ქართული სიტყვის, არა მარტო ჩვენ საუკუნეში.

რაც კიდევ ასანიშნავია გრიგოლ რობაქიძემ იცის თითქმის ყველა გამოთქმა და დარჩენილი ხალხური თქმულებები, მხოლოდ ის შეგნებულად მალავს ამ ცოდნას. „ლონდაში" არის ადგილები, რომელიც თითქო ხალხის დაწერილია ამ ცოდნის მიზეზია გრიგოლ რობაქიძის საუკეთესო ლექსი „ორლობის ეშაფოტი", რომელშიაც მოცემულია აპოკალიპსის ჭიხვინით სარზე ჩამოცმული ცხენის თავი ავ თვალს, რომ სდარაჯობს სოფელში.

მე მგონია არის დიდი თავის გამეტება, რომ ეს მისტერია სცენაზე იდგმება და აუარებელი ფილისტერი მარტო სანახაობისთვის დაუწყებს ამას დაფასებას ხანდისხან მოხდება სასწაული, რომ მზე ყველას გაუხსნის თვალს, მინდა დავიჯერო, რომ ამ შემთხვევაშიც ასე მოხდეს...

„ლონდა"-მ აუხილოს თვალი ქართულ საზოგადოებას, რომელიც გადაეჩვია თეატრში ნამდვილი სიტყვის მოსმენას და მისტერიის გრძნობას.

მინდა ამ წერილს ისიც დავუმატო, რომ მისტერიები „ლონდა" და „ჯვარი ვაზის" ერთი სახეა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების.

ეს ტემა არ ამოიწურება მარტო ამ მისტერიებით. ამ ხორალებს არ ექნება დასასრული როგორც ნიაღვარის დენას. აქ ბედნიერებაა რკალის გახსნა, მხოლოდ პოეტებმა იციან, რა ძნელია ეს შელება ახალი კარების და მონახვა ასეთი ტემის.

მეორე სახეა—ტფილისის ხერხემალი და „ქალაქი ფენომენი".

თუ პირველ მისტერიებში მოცემულია მიწის სინედლე და სიდედლე—მეორე ციკლი ლექსების გადადის გადაშენების და დაღუპვის საზღვარში უნახავი ტერრორით. აქ გრიგოლ რობაქიძე თანამედროვეა, როგორც არავინ.

და მის მზის სახის მედალზე იღიმება ეს იანუსი, რომელიც სძლევს სიტყვას, როგორც რენესანსის ადამიანი.

და ქართული პოეზიის უდიდესს სიხარულს უნდა შეადგენდეს რომ გრიგოლ რობაქიძე—არის შემოქმედების ზენიტში—როგორც ღმერთი სადდასაჲ...

ტიციან ტაბიძე.

16—II

# ლონდა.

ჟურნალ „შვილდოსანში“ დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის „სონეტი ნაპირებ გადალახული“ და იქ მოგვევლინა პირველად ამორძალი ლონდა მისი ვნებიანი და ნაზი სახელით. ამ სახელის გამოგონება დიდი მიღწევაა. ოქროსფერ სახელში ჰკივის წარმართული ეპოქა. საუკუნეების სიშორიდან და უფსკრულიდან გვიახლოვდება ახალი აფროდიტა. ამ პიესაში არის კიდევ ერთი სახელი, რომლითაც ალტაცებულია რეჟისორი კ. მარჯანიშვილი. ეს არის: სადდასაი. ამ სიტყვის დინამიკა ძლიერია. იგი იელოვაზე და ასსარგადონზე უფრო დამაჯერებელია.

თვით პიესა „ლონდა“ იწვევს უალდის „სალომეს“ ანალოგიას მოქმედების კონცენტრაციით. ამ ორ პიესაში დაგუბებულია სივრცის და დროის განსაზღვრულ მანძილზე ისეთი ინტენსივობა ემოციების, რაიც სხვა ავტორს საშვალებას მისცემდა დაეწერა დიდტანიანი ტრაგედია. მაგრამ „ლონდას“ განსაკუთრებული ხაზია მასიური სცენები, რასაც სრულიად მოკლებულია „სალომე“..

„ლონდა“ არის მზის სადიდებლათ დაწერილი ტრაგედია და თვითონ სადდასაი ულმობელი მზეა, რომელიც მოითხოვს ადამიანის მსხვერპლს. მასსა მოძრაობს, როგორც ერთი კოლექტიური პიროვნება და ტრაგედიის მომქმედი პირები ისახებიან ამ მასსის ფონზე.

პიესა დატვირთულია ძვირფასი სტილით, უცხო სახელებით და დიდი პათოსით. არ არის ლირიკა. არის დრამატიული და ეპიური ელემენტი ზედმიწევნით. ეკზოტიკა ზეიმობს თავის დღესასწაულს. თითქო ეს ხალიჩაა, მოქარგული შეხერეზადას ან სპარსელი პოეტის ხელით.

სახეები „ლონდის“ გრანდიოზულია: ხალხი, წითელი გველი, რომელიც აფრინდება ხის ფოთლებიდან და საშინელების ჟრუანტელს დაბადებს მასსაში. გვალვა ახელებს ხალხს, როგორც მისტიური უბედურება. მეფეს ატყობინებენ მისი შვილის დალუპვას ნადირობის დროს, მისი ჯარის დამარცხებას, მისი სიმდიდრეების განადგურებას. ქურუმები აცხადებენ, რო სადდასაი მოითხოვს ადამიანის მსხვერპლს და ეს მსხვერპლი უნდა იქნეს ლონდა. ლონდა მზათ არის, როგორც ჟანნა დარკ შეეწიროს მსხვერპლად ხალხის ბედნიერებას. იგი მზის ნატეხია და ისევ მზეს დაუბრუნდება. მაგრამ მეფის შვილს უყვარს იგი და იმასთან ერთად გადაეჩეხება უფსკრულში. ტრაგედია დასრულდა ლონდას და მეფის შვილის დალუპვით.

ღსანიშნავია ამ პიესის კოლორი არსად ისეთი სიუხვით არ არის მოცემული ფერები, როგორც ,,ლონდაში''.

აქ არ არის სინამდვილე, მაგრამ ავტორმა მოქანდაკის ხელით გამოსჭრა აჩრდილები მარმარილოდან და დააყენა ჩვენს წინაშე. ქართული ენა ამ პიესაში იძლევა საკვირველ ინტონაციებს და იმავე დროს მონუმენტალურია, როგორც ქანდაკება. არავის არ უნახავს ისეთი სიტყვები გახელებული მზისათვის, როგორც ლონდას ავტორს. აქ დაუსრულებელი ორგიასტობაა ენის. აღმოსავლეთის მზე ყვირის ,,ლონდაში'' ბეგემოტის ხმით და სიტყვები—თითქოს ავადმყოფნი ცოფიანობით იგრიხებიან და გვიყეფენ, როგორც ავზნიანი სულები. ავტორი სრულიად დაეუფლა ქართულ ენას და სიტყვების ურდო ემორჩილება მას, თუმცა ეს ურდო მრისხანეთ შეჰყურებს თავის ბატონს. საჭიროა მაგარი ძარღვები, რომ გაუძლო ამ სიტყვების გრიგალს და სიმფონიას. თითქო პოეტს უნდა შეებრძოლა მთელ ბუნებას და მთელი ბუნება გახადოს თავის სიტყვების ტყვედ.

პავლე ინგოროყვას დაკვირვებით სიტყვები: ,,მზე'' და ღმერთი ყველაზე უფრო ხშირად იხსენიება ,,ვეფხვის ტყაოსანში''. მზე ხომ უხილავია, მაგრამ მთავარი გმირია ,,ლონდაში''. რუსთაველის შემდეგ ეკზოტიკა არსად არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ლონდაში. თუ ქართული ენა რუსთაველის პოემაში განვითარებულია მეტად და დეკადანსის საზღვრებამდის მიდის, ,,ლონდაში'' სტილი ქართული ენის მეორე აღდგომას განიცდის და აყენებს ჩვენს წინაშე დიდი გამარჯვების სანახაობას.

ქართულ მწერლობისთვის ,,ლონდა'' უნიკუმია. დადგმული უცხო სცენებზე ის მოახდენს არა ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას და სუმბათაშვილის ,,ღალატზე'' უფრო დაამტკიცებს ქართული მწერლობის ორიგინალობას და ძალას. ,,ლონდა'' როგორ მოვარდნილი სტიქია სამუდამოთ დარჩება ხსოვნაში მაყურებელს. ეს არ არის ზღაპარი, მაგრამ დაშორებული თანამედროვეობას, ანათებს, როგორც მითი.

ქართული ლირიკული პოეზია შეიტანს თავის მითოლოგიის ანნალებში ამ სახელს და ლონდა მთელი თავისი ნოყიერებით, ბრწყინვალებით და ოქროთი შევა ლირიკაში, ლონდა მოვარდნილია, როგორც ვეფხვი, მაგრამ მას ადგილი ექნება არა მუზეუმში, არამედ სცენაზე და ჩვენს ხსოვნაში. ამიერიდან ეს სახელი დაიჭერს ღირსეულ ადგილს თინათინთან და თამართან.

ამ სახის და სახელის რეზონანსი კიდევ მომავალშია.

ვალერიან გაფრინდაშვილი

# მისტერიიდან ,,ლონდა“

ოთარ: იყო მონადირე ლამაზი ყმაწვილი.
ვერავინ შეუტევდა მის მკლავებს ჯერიანს.
დნებოდა მისთვის მრავალი საცოლე.
თვითონ კი დასდევდა ტევრებში ჯეირანს.
და ერთხელ უეცრად როგორც სინდიოფალა
მას შემოეყარა ტყის დედოფალი.

ხმები: ვინ არის ვინ არის იგი დედოფალი?

ოთარ: ტყის დედოფალი: არ იცით ვინ არის?!
მაგარი. ავხორცი. ტევრების ასული.
ტკბილია შეხვედრა მუდამ მომცინარის.
მას ელის მონადირე საირმედ გასული.
წითელი თმები და მწვანე თვალები
დასწვავენ მონადირეს სხვაფერი ალებით.

ხმები: და მერე რა მოხდა?

ოთარ: მივიდა დედოფალი. მოხვია ხელები.
ყმაწვილს აუვარდა ტკბილი ჟრუანტელი.
მიენდო. მიედნო მღვრია გახელებით.
სხეული მოელბო ვით რბილი სანთელი.
და უჩვეულო მწვავი სიხარულით
შეჰფიცა ჯადოსანს ვაჟმა სიყვარული.
მაგრამ დედოფალმა მოუჭრა ფარულად:
მოკვდავთან არ შეცდე თუ გინდა სიხარული.

ხმები: ნეტავ რით გაგძელდა?!

ოთარ: გაიჭრა მონადირე სრულებით ტყვეელად.
ძალზე გაველურდა უცხოის გზნებაში.
და თითქო სიცოცხლის გადასანთხელად
ხარბად იხჩობოდა ლამაზთან ვნებაში.
მაგრამ დედოფალი ვაჟს ძვირად ეგემა:
ტანზე შეხმა და თვალები აელაშა.

ხმები: და სხვასთან არ შეცდა?!

ოთარ: ლამაზი იყო ყმაწვილის ძმის ქვრივი.
ქლალთვალებიანი და წაბლისფერთმიანი.
ათქვირებული და ტანით კვრივი.
მაზლს ეტმასნებოდა ის სხეულმზიანი.
მონადირეც გრძნობდა ატეხილ ცდენას.
და ბეწვზე აკავებდა განზომილ თმენას.
მაგრამ როდემდის?! ერთხელაც საღამოს.
როს ტანი მოელბო და ნება მოედუნა—
მიეცა ყმაწვილი ცდუნებას საამოს
და რძალს ახურებულს სურვილით მიედნო.
უთუოდ ტკბილი იყო ხვევნა და ზმანება:
ყმაწვილის გულში რომ არ იყო დანანება.

ხმები: და მერე და მერე?!

ოთარ: მონადირემ უკლო ტყეველად სიარულს.
ძვირად აფიქრებდა ჯიხვი ნათოფარი.
რძალთან ატარებდა დროს იგი მხიარულს
მაგრამ ხსოვნას წვავდა ტყის დედოფალი.
უეცრათ გაემართა იგი სანადიროთა
და წინ შემოეყარა მას შველი პირნოთა.

ხმები: შველი პირნოთა?!

ოთარ. შუბლზე აქვს ახატული ნამგალა მთოვარე.
ჩლიქებს უკოცნიან ყვითელი ქვიშანი.
მას ელის მონადირე როცა მარტო არი:
იგია მისთვის საბედო ნიშანი.
უხარის ხატულასთვის კორდი და მდელო...ა.
და გულში მისი აქვს დაცვა და შელოცვა.

ხმები: და მერე და მერე?!

ოთარ: და გაჰყვა მონადირე პირნოთას ტყისაკენ
რაღაც უჩვეულო გუმანში გართული.
უეცრათ დაინახა ქათქათა რიყეზე
ტიტველი მუხლები თეთრად გაშხვართული.
ეს იყო დედოფალი. გაფითრდა ყმაწვილი.
ლამაზი აილესა. დაგესლა გუნება.
უთხრა: მოკვდავ ქალში თუ რისთვის გამცვალე.
ეხლა მე გიჩვენებ თუ რაა ცდუნება.
თან კლდეზე აიყვანა მაღლა მონადირე.
უცხოდ უღიმოდა მაცდური ღიმილით.
გული მოიჯერა რომ ბევრი ატირა
და ტევრში გადაეშვა ავხორცი კივილით.

ხმები: ქვრივმა რაღა ქნა?

ოთარ. დანაღვლიანდა ქვრივი ქლალთვალება.
აღარ უღიმოდა პირი მომცინარეს.
საყვარლის საძებრად შეჰკრიბა ქალები.
და ტივით გაუდგა შაველა მდინარეს.
დაბურულ ქიმთან გაისმა ძახილი.
შუა ღამე იყო თეთრად გამთვარული.
და რა გაიგონეს იქ ქვრივის სახელი
ტივი შეაჩერეს და გამართეს არ...ული.
ყმაწვილსაც მოედო შეხვედრის ალი და
თითქო მოთმინებას მახვილი დაესო:
მოსწყდა უბედური ციცაბო ნაპრალიდან
და ტივზე ქალის წინ უსულოდ დაეცა.
გულში ჩაეხვია რძალი ქლალთვალება.
შეჰკივლა მთოვარეს შუქთა მომფინარეს.
უკან გაისტუმრა დობილი ქალები.
თვითონ კი ტივით გაუდგა მდინარეს.
ამბობენ: რისხვა ქვრივს არ ეცილება.
დაეძებს დედოფალს რომ ჩასცეს მახვილი.
თუ შეხვდენ ერთმანეთს ტან ალესილები
ზღაპარი იქნება უთუოდ ახალი.

გრიგოლ რობაქიძე.

# შვილები მზისა და მისი ქურუმი.

### გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“-ს დადგმის გამო

,,სიცოცხლე მზეა მწვავი და თუ სიცოცხლე გინდა გოლვაც უნდა გიყვარდეს''
,,ლონდა''

ორი უდიდესი სტიქია: სიცივე და სიცხე ორი უდიდესი სტიმულია კაცობრიობის შემოქმედებისთვის.

კულტურის ბევრი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ თუ არ ყოფილიყო დიდი სიცივე არ იქნებოდა დედამიწაზე მატერიალური კულტურა. არ ვიცი ეს არის თუ არა მართალი, მაგრამ მაინც ვეთანხმები.

ვიცი მხოლოდ ერთი, რომ თუ არ ყოფილიყვენ უდიდესი მზის ქვეყნები არ იქნებოდა მსოფლიო ხელოვნება, არ იქნებოდა ეგვიპტე ინდოეთი - ორი საღვთო წყარო ხელოვნებისა.

თეატრის დარგში, რომელიც მე ყველაზე უფრო მაინტერესებს, არ იქნებოდა ბერძნული ამფითეატრი სოფოკლით და ევრიპიდეთი, არ იქნებოდა კალიდასა არ იქნებოდა აგრეთვე იტალიის Comedia dell‘arte, დიდი ხელოვნება ჩრდილოეთისა თანდათან უახლოვდება ინტიმს, მხატვრობაში ის ჰქმნის მთვარის ბოსკეტებს, შეყვარებული რწყვილებით, პოეზიაში ლექსებს ,,მშვენიერ უცნობ ქალზე'', თეატრში კარმერ შპილებს.

(მე არ ვლაპარაკობ იმ თეატრებზე, რომელნიც მიიკერებენ იარლიკს ,,კამერნი''სა როგორც ჩემი ძვირფასი მეგობარი ა. ი. ტაიროვი და შემდეგ არ იციან, როგორ მოიცილონ თავიდან, იმიტომ, რომ სთქვით, სინდისის ქვეშ, არ არის სულელური; ატარო ეს სახელი და თამაშობდე საკუნტალას, ან სდგამდე კოლდელს, როგორც ამას სჩადის ტაიროვი).

მე თითქმის დავშორდი ტემას, და რომ დავარღვიო ეს ინტიმობისადმი ლტოლვა, რომ დაუბრუნდე ხელოვნების ჭეშმარიტ სიხარულს, ევროპიელისათვის საჭიროა ან დიდებული წასვლა ტაიტში ანდა ისეთი დიდი მიწის ძვრა, როგორც ფუტურიზმაა, მისი ,,ხმებით ხმებისათვის'' ,,ფერადებით ფერადებისთვის' და ,,ფორმით ფორმისათვის'' მაგრამ სასაცილო იქნებოდა ჩვენ რომ გენიალური ფიროსმანიშვილი გაგვეგზავნა ტაიტზე მზით დადნობისათვის.

ჩვენი ეროვნული ხელოვნების გზები, ისედაც სდგანან სიცხეში. მხოლოდ ჩრდილოეთის კულტურის დიდ გავლენას, რომელიც მოდიოდა ჩვენში უკანასკნელ საუკუნეებში რუსეთიდან მიეწერება, დაკარგვა საკუთარი გზებისა ხელოვნებაში.

თითქმის მთელ პოეზიას, მთელ მხატვრობას, იშვიათი გამონაკლისით და თეატრს კი სრულებით უფლობდა რუსული ხელოვნება.

ჩვენ გავწყვიტეთ კავშირი მზესთან და გადავედით პსიხოლოგიაში და ინტიმში. და პირველი რამაც გამაკვირვა მე დაბრუნებისას, ამდენი ხნის ჩრდილოეთში ტყვეობის შემდეგ ეს არის დაბრუნება მზესთან.

მე დავინახე სიტყვაში, მუსიკაში და მხატვრობაში მზის შვილები, მთვრალები მისი სხივებით და შვებით მომღერალნი მისი დიდებისა.

მე დავინახე მზის შვილები-პოეტები და მათ სათავეში ქურუმი, ჭეშმარიტი ქურუმი, მზისა გრიგოლ რობაქიძე.

არასდროს არ დავივიწყებ პირველ მთოლვარე შთაბეჭდილებას მისი ლექსის პირველ სტრიქონიისა სონეტიდან ,,აქლემი''.

,, ,,

რა უნდა ვსთქვათ ლონდაზე.'' ლონდა არის ნამდვილი დაბრუნება მზესთან; ყველაფერი მასში არის მზისგან: სიცოცხლე და სიხარული, სიცოცხლე და სიკვდილი.

ეს არის ნამდვილი მისტერია მზისა. თვით არქიტექტონიკა პიესის არის მზიური.

პირველ პასაჟებისთანავე მზე, ყველაფრის დამბუგველი, ყველაფრის მომსპობი და მაინც ყველასგან გაღმერთებულია: და უნდა მოქანცულ ადამიანებს მზის ზღაპარი პოეტის ოთარის, რომ ამ ორ მზეთა შეჯახებისაგან: ფიზიკურ მზისა პოეტურ მზესთან დაიბადონ ცხოვრების მომცემი ქარები. და ეს თავის დროზე დამდგარი ჩრდილი აძლევს საშუალებას ავტორს განაგრძოს შემდეგშიც დინამიური ძალა, მას გამოყავს სცენაზე თვით ჭურჭელი მზისა ლონდა.

ახ! როგორ სძულთ ის ადამიანებს და ამასთანავე უყვართ მიტომ რომ ის მთლათ სიყვარულია, როგორც მზე, რომელსაც ისინი სწყევლიან იმიტომ, რომ ის ყველაფერს სწვავს და რომელსაც ისინი მაინც ეტრფიან, მიტომ, რომ ის ყველაფერს აცოცხლებს.

და ასე სცენა სცენაზე, პასაჟი პასაჟზე თვით ტრაგიულ აღსასრულამდე სიკვდილისა სიცოცხლისთვის

მე მხოლოდ მგონია, რომ რობაქიძეს არ გადაუგდია თავის სულში ლონდა უფსკრულისაკენ არამედ აისროლა ის ზევით მზეზე, მეორე უფსკრულში. და მხოლოდ დაწყევლილი სიმართლის მგავსებამ (ო, როგორ მძულს ეს ატავიზმი რეალიზმის) აიძულა ის არ გაეთავებია ზღაპრის მზგავსათ ლონდის ჭაერში აფრენით თამაზთან ერთად. მზესთან, არამედ დაემარხა ისინი ანკარა წყაროს ზვირთებში.

მაგრამ სულ ერთია ყველა შეყვარებულთათვის ისინი არიან იქ მზე...ე.

შევიძლებთ ჩვენ განა ,,ლონდას'' აწევას დადგმის დროს მზისაკენ?...

აი აქ არის დიდი კითხვა.

ლონდაში ახალი რიტმია, ლონდაში ახალი პლასტიკაა, ლონდაში ახალი წაკითხვაა, ლონდაში ახალი არქიტექტონიკაა.

ლონდაში, თუ გნებავთ ახალი განცდებიც არის. შესძლებენ თუ არა ჩვენი ჩემი ამხანაგები-არტისტები (ისინი კი ჭეშმარიტი ორბები არიან იმ აფრენით, რომელსაც ისინი ახერხებენ მიუხედავათ ტეხნიკურ ჩამორჩენისა). შეძლებენ თუ არა ისინი სძლიონ ,,ლონდას'' სირთულე. შევძლებ განა მეც ღირსეულად გადავსჭრა ის ახალი ამოცანები რომელთაც ,,ლონდა'' გვავალებს? ვეჭვობ. მაგრამ არაფერი, თუ გადმოვარდები ისევ სჯობს დიდი ცხენიდან გადმოვარდნა. რა ვქნათ. თეატრი ყოველთვის უკანასკნელად მისდევს ხელოვნებას. წინ მიდის პოეზია, წინ მიდის მუსიკა, წინ მიდის მხატვრობა-შემდეგ კი მათ მისდევს თეატრი ეს ჩვენი შეჩვენება.

მაგრამ სასიხარულოა ისიც რომ ახლა ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი მზიური პოეზია. შემდეგ კი განგების წყალობით- ჩვენ გვექნება მზიური თეატრი

☞ ჩემი სალამი მსის ვაჟებს, და იცოდე... თუ ჩვენ თქვენ გვერდით ვერა ვართ, კვალში მაინც მოგდევთ.

კ. მარჯანიშვილი.

——

P. S. ამბობენ გრ. რობაქიძე, ერთი ძლიერთაგანია ახალ სიტყვის შექმნაში. მე მიძნელდება ლაპარაკი, მე ჯერ კიდევ სუსტად ვიცი ენა, და იგი არ არის ჩემი სფერო, მაგრამ ერთი ასეთი სიტყვა როგორც ,,სადდასაი'' ჩემთვის მომხიბლავია. უნდა იყო დიდი ხელოვანი რომ ასე განსაზღვრო ღმერთის ყველგან სუფევა:

სად და სად. კ. მ.

# ლონდა

### დრამა—მისტერია

სცენიური ხელოვნება უფრო კონსერვატიულია. ის ძნელად სტოვებს გაქვავებულ ფორმებს. თუ პოეზია, გაგებული ვიწროდ, მახარობელია ყოველთვის ეპოქის ახალი სტილის. თეატრი უფრო მიმღებია დამკვიდრებული ტემპის, რიტმის.

საქართველოშიაც ჯოჯოხეთის მაშინა პოეზიის დარბაზებში უკვე აფეთქდა. და იგი დაიწმინდა შაბით.

შემთხვევითი არაა მოვლენა: დიდი ხანია რაც ,,ლონდა'' დაწერილია, მაგრამ მისი დადგმა ქართულ სცენაზე ვერ მოხერხდა. ქართულ თეატრს ამისათვის არ აღმოაჩნდა საკმაო გამბედაობა. ეს მართებულია.

,,ლონდა'' არის რევოლიუცია ქართულ მეტად მქლე დრამატურგიაში (არის გამონაკლისები) რევოლიუციისათვის საჭიროა დიდი ცეცხლი, და ახალი შეგზნება ნივთის. აუცილებელია ახალი ხაზების დაჭერა ეს კი ქართულ თეატრს არ შეეძლო.

თითქოს განგებით ელოდა ,,ლონდა'' მარჯანიშვილის დიდ ტემპერამენტს. ერთმანეთს შეხვდეს ორი დიდი არტისტი სიტყვის, და რიტმის ორი დიდი მესაიდუმლე.

თავის დროზე ,,ლონდა''ს ექნება ევროპის რეზონანსი ,,სალომეა'' იყო უდიდესი სიხარული ესთეტიურ ევროპისათვის. ამ დრამაში გამოჩნდა ოსკარ უალდის ბრწყინვალე ჭკუა და მახვილი ინტუიცია პოეტის. ეს—,,სალომეა'', რომელიც არის უფრო ლიტერატურული პანნო ვიდრე დრამატიული გაშლა სულის ამღერების.

გაცილებით უფრო მეტყველია ,,ლონდა'', რომელშიაც ლიტერატურული დაწმენდა და დრამატიული დენა ერთ საზღვარზე არიან დაბჯენილნი.

პირველად: გარეგანი, ხელშესახები ფორმა დრამის. განსაკუთრებით მის სიტყვის ინსტრუმენტაცია. უკანასკნელი ბოლო წერტილამდეა აყვანილი.

გრიგოლ რობაქიძე სიტყვის გენიალური არტისტია. სიტყვა მისთვის სხეულია სისხლით, ძარღვებით. ყოველი სიტყვა მის თქმაში იღებს ახალ მობრუნებას, ახალ გაოცებას.

,,პირველითგან იყო სიტყვა''—მისთვის. დღეებივით არის ჩაწყობილი. სიტყვები ,,ლონდა''ში. უკანასკნელი ისეა გაჭედილი და ნაპირებ გაკრული, რომ შეუძლებელია ერთი სიტყვის გამოკლებაც კი.

აქედან აღსანიშნავია რიტმი დრამის განვითარებაში. ,,ლონდა'' განსხეულებაა ქარიშხალის რიტმის, სადაც გაზომილია კივილი და უეცარი დადუმება, აღრევა და სიწმინდე. ,,ლონდა''ში არის ერთი რიტმი ეს არას რიტმი სიყვარულის თავდადების უკანასკნელის ჰიპნოზის ნიშნით მიდის დრამა საფეხურებით: ტანჯვა, თავდადება, მსხვერპლი, გამოსყიდვა. საფეხურებით ასვლაში არის უმაღლესი მიღწევა თანახმიერ გულის ცემის და იდუმალება სრულყოფილი რიტმის. ,,ლონდა'' თავისთავად არის დროის და სივრცის პლასტიური დაშლა არქიტექტუალურ ხაზებათ. არქიტექტონიკური მთლიანობა არის დრამის უდიდესი მიღწევა.

,,ლონდა''—მისტერია. უკანასკნელი არის თეატრის ბედი თანამედროვე თეატრას გზა აქეთკენ იქნება მიმართული. მისტერია არა საშუალო საუკუნეთა თვალგაუწვდენ ბურუსით. მისტერია, რომლის იქით იხედება თანადროების მონუმენტალური კუთხედები და მისი აწყვეტილი რიტმი. მისტერია, რომლის ძირი დაფენილი იქნება თანადროობის ახალი რელიგიის შეხებით. ,,ლონდა„-ში დასრულებულია ჰარმონიული შედუღება მისტერიული ხილვის და სულის ლირიკული ღელვის.

მუსიკალური ექსპერსია არის ,,ლონდა''-ს ერთი მხარე ამიტომ ,,ლონდა'' როგორც მისტერია არის არა შეჩერებული ჭვრეტა დამწვარი მზის, არამედ არის მოქმედება, არის დინამიკა უმეტესად. უკანასკნელის გამომწვევია დრამის ლირიკული დასაწყისი. ამიტომ ,,ლონდა'' მაღალი ლიკირული ნაკვეთია. აქ ისეა გამართული დიალოგები-როგორც ორკესტრი. შორეული სივრცეებიდან გამოყავს არტისტს ფერადი ხმები და. ყველანი ერთდებიან ერთ ფონზე. ეს არის ფონი სიყვარულის და მისი დიდების. სიყვარულის დამტკიცება არის პირველი სიმართლე სიცოცხლის, ამაშია გახსნილი ფენი იდუმალების. ამასთანავე სიყვარული არის სასტიკი დუელი ორი მიჯნის—სიცოცხლის და სიკვდილის შორის. მსხვერპლი უკიდურეს საფეხურზე დგას. აქედან თავდადება. უკანასკნელი არის მშვენიერება-ასეთია მისტიური ფორმულა. ვინაიდან იქით არის გამოსყიდვა და გაწმენდა ცრემლით.

ამიტომ ,,ლონდა'' ადის ტრაგედიის ხაზამდე. მასში გაშლილია სიცოცხლე მძაფრი შემოქმებითი ცეცხლით და რელიგიურ სარჩულით.

ეს არის სასწაულის მოლოდინი. ,,ლონდა''-ს უკანასკნელი აკკორდიც სასწაულია. იქით იწყება ფერის ცვალება და ამაღლება. ,,ლონდა'' სივრცის მოლუნვაა, ვინაიდან აქ გამარჯვებაა სიყვარულის. ეს მოგრეხა სივრცის და დროის არის ჩემი ფიქრით მთავარი ,,ლონდა''-ში. ამ ფენომენშია გამდნარი დრამის მთავარი ძარღვი. ,,ლონდა''-ში ქონავს უმთავრესად წარმართული შეხება საგნის. აქ არ არის ოდნავი სუნთქვაც კი ორტოდქსალურ ქრისტიანი ზმის მით უმეტეს ლათინურ კათოლიციზმის მოწყენილ ღიმილის. იგი მოცემულია როგორც წარმართული მთლიანი განწყობილება, რომელშიაც ერთმანეთთან არიან დამდგარნი ინდივიდუალი და კოსმიური. მასთან მისვლისთვის საჭიროა შინაგანი განცდა, შინაგანი ხილვის გამახვილება, რომელსაც იმავე რელიგიურ თრთოლვამდე მივყევართ.

შალვა აფხაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქი ფენომენი

ქალაქი ფენომენი
ელექტროს ელფებით
როგორც ლევიაფანი
მთვლემარე ილველფება.
რკინების გმინვა და რვალების გრაგანი.
ბორგავს ბორკილებით გაკრული ურაგანი.
და კანტი ემმანუელ
ასტრალის ტვინანთება
სამყაროს ეჭრება პოლიპის ძირებით.
ობობას ქსელშია მხოლოდ მოლანდება—
და ფენომენებში იბნევა გზირებათ.
ლოგოს იცინგება
და ტუჩზე მაშინის
,,ნილილ'' ილვენთება დინამოს დინგებით.
და ქოსა და ყვითელი ჰომუნკულები
მომავალს ფარგლავენ გძელი ცირკულებით.
მთვარეს ელოდება მმარხველი ბიურო.
ძაღლებს აღარ ყოფნით მისთვის ხინახინა.
ქალებს ეკარგებათ მთვარესთან თვიური.
ცივდება ფალლოს უთესლო მახინა.
და ბედის ბუშები
ბედს ეცილებიან
აპტეკის შუშებით.
ცრუ ანონიმები: ნილილის ფაზები.
ფაქტი და ხრონიკა. სწორი სალაშინი.
და ევნო აზეფი
გადაყუდებული ბნედიან მაშინას
მისდევს იელოვას
რომ ლასსო გადაჰკრას
და იქვე გადალვედოს.
ქალაქი ფენომენი
ელექტროს ელფებით
როგორც ლევიაფანი
მძიმედ ილველფება.
რკინების გმინვა და რვალების გრაგანი.
ტორტმანობს ბორკილებით გაკრული ურაგანი.
. . . . . . . .
წამი უეცარი.
. . . . . . . .
მიწის აშავერის მოხეთქილ პალოდან:
ფიცხელი კუნთები. ელვის ნესტოები.
ცხენი მეწამული მზის ყვითელ კალოდან.
ზედ ქალი ტიტველი მორთული რტოებით.
დაუცხრომელი მოელავს იშტარ
და მოაქვს სანადიმოთ
უშრეტი იშტა.
ყივილი. ყიჟინი. ხტომა და ტორები.
ქალის გარს ბუღრაობენ
ხურუშით ატეხილი მწიფე კენტავრები.
დემეტრა. მელიტა. სემელა. იზიდა.
წინ ხარი აპის და გვერდით ქვიბელა.
ჰკივიან: დედამიწა ვინ გადაიზიდა
და ჯანყი მუხნარი ვინ გადაგვიბელა?!
ქალაქი იკუმშება უზარმაზარი.
ტოკავს ურაგანი და გააქვს ზანზარი.
ხარს ეჯახებიან საშინელ რქებიანს,
ასპადის ფერი თუჯის გიგანტები.
დიდი ვიადუკები იზნიქებიან
და ხრამში მუცლებით ცვივიან ტანკები.
და დაფეთებული ღვრია ტრამვაები
კისრულს გადადიან დაღვარულ ვაებით.
ირღვევა სილლოგიზმი
ყოვლის გამგებელი.
ალლოს ეტანება ყოველი უგონოს.
და გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი
მარჩიელს დაეძებს ციგანის გოგონას.
ბავშები გარბიან ქალაქზე სათარეშოდ.
ასპიდი სპირალი თუ გადაირია.
გიჟები პაროლით—,,ანგარიშ გარეშე''.
და მათხოვრები ქუჩებში ყვირიან:
არ გვინდა ბოლტები—
მოგვეცით ბელტები.
ქალაქი ფენომენი
ელექტროს ელფებით
როგორც გაფატრული
ფაში ლევიაფანის
სისხლით ილველფება.
რკინების გმინვა და რვალების გრაგანი.
ინგრევა ბორკილებით გაკრული ურაგანი.

**გრიგოლ რობაქიძე**

# სახელმწიფო გამომცემლობა

I

**პრინციპი სახელმწიფო გამომცემლობისა.**

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება რიგი ცნობათა გერმანიის კულტურულ ცხოვრებიდან და აგრეთვე საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის ანგარიშის ნაწილი.

ამ ცნობებიდან აშკარად ირკვევა, როგორი თავგამეტებული და თავგადადებული მუშაობა სწარმოებს ორივე ქვეყანაში, რომ როგორმე დაძლეულ იქნას კრიზისი, რომელიც შეუქნია ომს და ომში დამარცხების შედეგებს. ამ შემთხვევაში თითქო ეს ორი ქვეყანა მიაგავს ერთმანეთს.

რასაკვირველია არ შეიძლება გერმანიის და რუსეთის შედარება. რაც არ უნდა ზღაპრული იყოს გერმანიის წიგნის კულტურის და განათლების განვითარება, მაინც დასაჯერებელია რადგან გერმანიას, როგორც არც ერთ სახელმწიფოს აქვს დიდი კულტურის ინერცია, რომელიც შეუძლებელია რამდენიმე განწირვის წლებმა შეაჩეროს. მაგრამ გასაკვირია, რომ საბჭოთა რუსეთიც, რომელმაც ომში დამარცხების გარდა გაირა სამოქალაქო ომის კოშმარები და სრულიად განადგურდა მისი ისედაც ღარიბი ინდუსტრია მაინც შესძლო ამ რამდენიმე თითქმის თვეების განმავლობაში შეავსოს და გაასწოროს დანგრეული გამომცემლობის საქმე.

ჩვენ გვინდა ეს ფაქტები დაუკავშიროთ ქართულ სინამდვილეს. ეხლა ამის ანიშვნას აქვს აზრი, რადგან როგორც ეტყობა ეს ტალღა საქართველოს საზღვრებსაც აწევს და ხელისუფლება დაინტერესებულია საქართველოშიც მოგვარდეს გამომცემლობის საქმე.

არ უნდა გამეორება ამ ტეზისს, რომ ერის კულტურა ისტორიის სივრცეზე განიზომება ბოლოს და ბოლოს სულიერ კულტურის მიღწევებით. მართალია საქართველოს მემატიანენი ანიშნავენ რომ თამარ მეფის დროს ოქრო და ძვირფასი ქვები აქლემებით იზიდებოდენ საქართველოში და ბათმანებით ირწყებოდენ, რომ გათხრილი იყვენ ისეთი არხები, რომელთა რესტავრაცია დღეს ეფემერიაოაც ითვლება, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ფაქტი მაინც, რაც ანიშნავს ჩვენ სიამაყეს ეს არის მე-XII საუკუნის ლიტერატურის დანაშთენი, აქ რომ არც სახელებია დასახელებული.

ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო საქართველოს XVIII საუკუნის ეკონომიური მდგომარეობა და სად იყვენ გზები და ხიდეები გაშენებული მაგრამ ფაქტია რომ ქართულ მუზეუმში ინახება მონტესკიეს „კანონის სულის'' თარგმანი. და რა მდიდარი იქნებოდენ ეს ანალოგიები?. რამდენი სხვა უფრო დამაჯერებელი ფაქტები აღმოჩდებოდენ ჩვენ ისტორიაში, რომელნიც ეხლაც უმაგრებენ ერს ზურგს და აღვიძებენ მაში უკეთესს მომავლის სურვილს.

თუ რა შეუძლია თავდადებულ და ჰკვიან ადამიანს თუნდაც ერთს გააკეთოს ასეთ საქმეში, ეს გვაჩვენა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც შეჰქმნა ქართული პრესსა, ქართული წიგნი და ერთი ბანკის საშუალებით საქართველო დასერა შკოლებით. სახელმწიფო უნივერსიტეტიც. რომლითაც დღეს ჩვენ ვამაყობთ განა მისივე საქმე არ არის მისი აშენება.

და რევოლიუციის დროს, როცა მთელი სიმდიდრე თვითონ ხალხს ჩაუარდა ხელში, როცა საზოგადოებრივ საქმეს მეტი ინტერესი მიეცა და სამუდამოდ გაჰქრენ ცარიზმის ,,სკარპიონები'', როცა ქართველი ხელოვნები და მწერლები ასობით ითვლებიან და რესპუბლიკის სათავეში იდგენ და ეხლაც სდგანან პირები ან ძალიან დაახლოვებული მწერლობასთან, ანდა ბევრ შემთხვევაში თვითონ მწერლები, გასაკვირი არ არის რომ ქართული წიგნის კულტურა კატასტროფას უახლოვდებოდეს?

პირველ შეხედვით ეს ფაქტი დაუჯერებელია და მე მგონია საკმაო იქნება, რომ შეგნებულად ამაზე დაფიქრება, საქმე მოგვარდეს და სირცხვილი თავიდან ავიცდინოთ.

რომ ვილაპარაკოთ უკანასკნელ დროზე, საბჭოთა კონსტიტუცია გულისხმობდა მწერლობის და კულტურის გარანტიებს, უნგრეთმაც კი, რომელიც სულ

# შენიშვნა

**მეექვსე საუკუნის ქართულ ხელნაწერებზე**

(ივ. ჯავახიშვილის მოხსენების გამო).

უძველესი ძეგლები ქართული დაწერილობისა, რომელნიც მოღწეულან ჩვენამდე, ეკუთვნის დროს მეხუთე საუკუნის დამლევიდან მეშვიდე საუკუნემდე. ეს არის ქართული ფულების ზედ-წერილები. მაგრამ ზედ-წარწერა ქართული ფულებისა არ წარმოადგენს მთლიანს გაბმულს ტექსტებს; ისინი შეიცავენ მხოლოდ ათიოდე ასოს და მათი მიხედვით შეუძლებელია ყველა ასოების ძველი დაწერილობის აღდგენა.

ერთად-ერთი მთლიანი გაბმული ტექსტი უძველესი ეპოქისა, რომლის დათარიღება ნიშანდობლივ შესაძლებელია ეს არის წარწერები ჯვარის ეკლესიის (მცხეთის ახლო). ჯვარის ეპიგრაფიული ტექსტები ეკუთვნის მეშვიდე საუკუნის დასაწყისს. სხვა ნაშთები ძველი ქართული დაწერილობისა მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებიდან არ იყო ცნობილი უკანასკნელ დრომდე.

ამ სამი წლის წინად საისტორიო საზოგადოებაში ექვთიმე თაყაიშვილმა წაიკითხა მოხსენება ბოლნისის სიონის წარწერათა შესახებ და წარმოადგინა მათი პირები.

თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ ეს წარწერები ძველი უნდა იყვეს, მაგრამ რა ეპოქას ეკუთვნის იგი, ამის გამორკვევას მომხსენებელი არ ცდილა.

მოხსენებას სხვათა შორის მეც დავესწარი, და როდესაც გავშინჯე ბოლნისის სიონის წარწერების პირი, მაშინვე ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ბოლნისის პირვანდელი წარწერების სახით ჩვენ გვაქვს უძველესი ნაშთი ქართული პალეოგრაფიისა, და რომ ეს წარწერები ყველა ნიშნებით ეკუთვნის მეექვსე საუკუნის დასაწყისს. კამათის დროს მე აღვნიშნე სამი მომენტი, რომელიც ცხად-ჰყოფდა წარწერების თარიღს.

1. პალეოგრაფიული ნიშნები. ბოლნისის წარწერაში რამდენიმე დამახასიათებელი ასო წარმოდგენილია თავშეკრულად. ეს არქაიული ხაზია და უჩვენებს, რომ წარწერა ეკუთვნის დროს არა უგვიანეს ჯვარის ეკლესიის ტექსტებისა (ე. ი. არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნის დასაწყისის).

2. გრამატიკული ნორმები. წარწერაში ჩვენ გვხვდება არქაიული გრამატიკული ფორმა ზმნისა: ,,შეხუაბთ''. ამ-გვარი გრამატიკული ფორმა განსაკუთრებული სიძველის ნიშანს ატარებს, და აღნიშნავს იმავე თარიღს: უადრეს მეშვიდე საუკუნის დასაწყისისა.

3. ისტორიული ჩვენება. ბოლნისის წარწერაში მოხსენებული არიან: პერანე ერისთავი და ჰაზარავუხტი. რაკი პალეოგრაფიული და გრამატიკული ნორმები წარწერის თარიღად აღნიშნავენ დროს მეშვიდე საუკუნის უწინარეს, ე. ი. დაახლოვებით მეექვსე საუკუნეს, ამიტომ შესაძლო ხდება იმისი გამორკვევა თუ ვინ უნდა იყვეს წარწერაში მოხსენებული პერანე. მეექვსე საუკუნეში მართლაც ცნობილია ერთი ისტორიული მოღვაწე ამ იშვიათის სახელით: პერანე. იგი იყო ძე გურგენ მეფისა (იხ. პროკოპი კესარიელი De bello persico, I, წ. 12, II, წ. 28 და 26). მათი მოღვაწეობა საქართველოში ეკუთვნის მეექვსე საუკუნის პირველ მეოთხედს. პროკოპი კესარიელის ცნობიდან სჩანს რომ გურგენ მეფე და პერანე სპარსეთის გაძლიერების დროს გახიზნულან საქართველოდან ბიზანტიაში 523 წელს, და შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნებულან. შეხვედრა ამ თარიღებისა, რომელსაც იძლევა პალეოგრაფია და გრამმატიკა გვაფიქრებინებს რომ ბოლნისის წარწერის პერანე ერისთავი არის იგივე პერანე ძე გურგენ მეფისა. ამის მიხედვით ეს წარწერა უნდა ეკუთვნოდეს მეექვსე საუკუნის დასაწყისს არა უგვიანეს 523 წლისა.

აი ის მოსაზრებანი, რომლის მიხედვით ამ სამი წლის წინად ბოლნისის სიონის უძველესი წარწერა მე დავათარიღე მეექვსე საუკუნის დასაწყისით.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამ წარწერის თარიღის სიკითხში დამოუკიდებლად მისულა იმავე დასკვნამდე. მასაც ეს ეპიგრაფიული ძეგლი მიაჩნია მეექვსე საუკუნის ნაშთად. ბოლნისის წარწერა გახდა გამოსავალი ბაზა, რომლის მიხედვით პროფ. ივ. ჯავახიშვილი შეეცადა დაეთარიღებინა ოთხი ძველი უთარიღო ხელნაწერი—პალიმფსესტი.

10 თებერვალს საისტორიო საზოგადოებაში პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მეტად საგულისხმო მოხსენება ამ ოთხი უძველესი ხელნაწერის შესახებ, რომლებიც მას მეექვსე საუკუნის ნაშთად მიაჩნია. ამ ხელნაწერების აღმოჩენას, თუ კი მათი თარიღი საბოლოოდ დამტკიცდა, კაპიტალური მნიშვნელობა ექნება ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

უნდა ვიცოდეთ რომ თუმცა ქართული ფულების ზედწერილები, და აგრეთვე ეპიგრაფიული ძეგლები (ბოლნისისა და ჯვარისა) ეკუთვნიან მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებს, მაინც ჩვენ დღემდე არ გვქონდა არც ერთი **ხელნაწერი**, რომელიც ეკუთვნოდეს მეცხრე საუკუნეზე უფრო ადრე დროს. იმ ხელნაწერთა შორის, რომლებიც დღემდე ცნობილი იყო უძველესად მე მიმაჩნია პაპირუს-პერგამენტზე გადაწერილი იადგარი, რომელიც დაცულია პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავში (№ 11). იგი ეკუთვნის მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარს, არა უადრეს 786 წლისა და არა უგვიანეს 853 წლისა *).

ამას გარდა ჩვენ გვაქვს ორი დათარიღებული ხელნაწერი მეცხრე საუკუნეს მეორე ნახევრისა: სინაის მთის მრავალთავი 864 წლის და ადიშის სახარება 897 წლის. არის კიდევ რამდენიმე უთარიღო ხელნაწერი მეცხრე საუკუნისავე, მაგრამ მეცხრე საუკუნეზე უფრო ძველი ხელნაწერი დღემდე ცნობილი არ იყო. **)

ჯავახიშვილის აღმოჩენის შემდეგ ჩვენ ხელთა გვაქვს ოთხი ხელნაწერი პალიმფსესტი მეექვსე საუკუნისა, რომლებიც საერთო რიცხვით შეიცავს 1.700 გვერდს. თუ მოვიგონებთ რომ ბოლნისის, ჯვარის და ქართული ფულების ზედწერილები საერთოდ შეადგენს მხოლოდ ერთს ფურცელს, ჩვენთვის ცხადი გახდება თუ რა ფასდაუდებელ განძს წარმოადგენენ ეს ახლად აღმოჩენილი ძეგლები

აღნიშნული ხელნაწერები, ჯავახიშვილის ცნობით დაცულია შემდეგს წიგნთსაცავებში და წარმოადგენენ შემდეგს ტექსტებს:

1. ორი ფურცელი ლონდონის წიგნთ-საცავიდან. შეიცავს დაბადების ნაწყვეტს (იერემია XVII—XVIII თავები). ეს ორი ფურცელი უკვე დაბეჭდილი იყო პროფ. კოკოვცოვის მიერ. პალიმფსესტის ზედა ტექსტი დაწერილია ებრაულად, მაგრამ მის ქვევით იკითხება პალიმფსესტი, თავდაპირველი ქართული ნაწერი.

2. ტფილისის უნივერსიტეტის (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის) ხელნაწერი № 86. შეიცავს სახარების ტექსტს.

3. ტფილისის უნივერსიტეტის მუზეუმის ხელნაწერი; შეიცავს აპოკრიფულ ვერსიას ,,საქმეთა მოციქულთა''

4. იმავე მუზეუმის ხელნაწერი. ტექსტის გამორკვევა ჯერჯერობით არ მოხერხდა.

ამ ხელნაწერების თარიღი ირკვევა უმთავრესად პალეოგრაფიულ ნიშნების მიხედვით. რომ არა-სპეციალისტისათვის გასაგები იყვეს თარიღის საკითხი, აქ აღვნიშნავთ ძირეულ მომენტებს.

ქართული ასოების დაწერილობის განვითარება,,

გვიჩვენებს, რომ ასომთავრული ასოები: ბ-ანი ყ-არი' და ვ-იე თავდაპირველად თავშეკრულად იწერებოდა. მხოლოდ შემდეგი განვითარების გზით თანდათანობით შემოღებულ იქმნა მათი თავახსნილი დაწერილობა. ბოლნისის და ჯვარის წარწერების შედარება გვიჩვენებს რომ ბ-ანის თავგახსნილი დაწერა შემოსულა მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში. ყ-არის თავგახსნილი დაწერა შემოღებულია მე-VII-VIII საუკუნოებში (ჯვარის წარწერის შემდეგ, ხოლო უადრეს პაპირესის იადგარისა № 11). ხოლო

ვ-იეს თავგახსნილი დაწერა შემოსულა მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში (პაპირუსის იადგარის შემდეგ, ხოლო უადრეს ატენის 853 წლის წარწერისა.)

რაც შეეხება აღნიშნულ ოთხ ხელნაწერს აქ სამივე ნიშნობლივი ასო, და მათ შორის ბ-ანი წარმოდგენილია ყველა შემთხვევებში თავშეკრულად. ამის მიხედვით ეს ხელნაწერები ეკუთვნიან დროს არა უგვიანეს მეექვსე საუკუნისა.

ამის გარდა მოხსენებულ ხელნაწერთა დათარიღების დროს მოხსენებელი დაემყარა აგრეთვე ენის თვისებებს. მართლაც ენა ხელნაწერებისა უთუოდ არქაიულია. მაგრამ რაკი ქარაგმების გახსნის საკითხი არ არის სავსებით გამორკვეული, ამიტომ ჯავახიშვილის ზოგი წაკითხვა შესაძლოა სიეჭვო აღმოჩნდეს (მე ვგულისხმობ ,,ხ-ანების წაკითხვას). ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება სრულებით არ ხდის თარიღის საკითხს საეჭვოდ, რადგანაც როგორც აღვნიშნეთ პალეოგრაფიული ნიშნები იძლევა მტკიცე საფუძველს ამ ხელნაწერის დროის გამოსარკვევად.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო აქვე ერთი ცნობაც. პირველ ხელნაწერი (პალიმფსესტს) პროფ. ჯავახიშვილი იცნობს მხოლოდ კოკოვცოვის დაბეჭდილს. პირით, რომელმაც გამოსცა ორი ფურცელი. მაგრამ ლონდონის ბოდლეანის წიგნთსაცავში სჩანს დაცულია **არა მარტო ეს ორი ფურცელი არამედ სხვა ფურცლებიც იმავე ხელნაწერისა.** აკადემიკოსმა ნ მარრმა ჩვენ გადმოგვცა, რომ დოქტორ ბლაიკმა აცნობა მას მეტად საყურადღებო უძველესი ხელნაწერის არსებობაზე ინგლისში. ხელნაწერს, ბლაიკის ცნობით, შეიცავს დაბადების ტექსტს (იერემიას); ენა გასაკუთრებით ძველია და მას ახასიათებს ,ხ,-ანის'' არქაიული ხმარება (მარრის ტერმინოლოგიით ხანიზმები) ხოლო რაც შეეხება კოკოვცოვის მიერ გამოცემულ ორ ფურცელს ლონდონის წიგნთსაცავიდან, ისიც შეიცავს იმავე იერემიას ტექსტს, და ისიც იმავე ენის თვისებებით ხასიათდება. ამიტომ საფიქრებელია რომ ეს ორი ფურცელი რომელსაც იცნობს ჯავახიშვილი კოკოვცოვის გამოცემით, არის მხოლოდ ნაწყვეტი ბლაიკის მიერ აღმოჩენილ ხელნაწერისა *).

რადგან დაბადების თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირეული საკითხებისათვის, ამიტომ საჭიროა ამ ხელნაწერის პირის მიღება ინგლისიდან.

ჩვენ არ ვიქნებოდით მიუდგომელი, თუ ამ მოკლე შენიშვნაში ჯავახიშვილის მოხსენების გამო, არ აღვნიშნავდით აგრეთვე შემდეგსაც. რამდენადაც ჯავახიშვილის მოხსენება წარმოადგენდა დიდ ინტერესს ფაქტიურ ნაწილში, ხელთნაწერთა დათარიღების საკითხში, იმდენად მისი მოხსენება სუსტი იყო იმ თეორეტიულ დასკვნებში, რომელიც მან გამოიტანა ქართული ენისა და მისი ენაკავების ისტორიის შესახებ. განსაკუთრებით მოულოდნელი და გაუმართლებელი იყო მისი პოლემიკური გამოსვლა აკად. მარრის წინააღმდეგ. ნიკო მარრის ზოგმა გაუმართლებელმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა არ უნდა შეგვიშალოს დავინახოთ ის გენიალური აღმოჩენანი, და დიადი შემოქმედებითი საქმე, რომელიც მან შეასრულა ქართულმეტყველების დარგში. კერძოდ მარრის ,,სვან-მესხური'' ენაკავის ჰიპოთეზა, და აგრეთვე შეხედულება ბიბლიის ქართული ვერსიის წარმოშობის შესახებ ჩვენც შემცდარად მიგვაჩნია, მაგრამ ეს შედარებით უმნიშვნელო დეტალია ნ. მარრის დიდი მეცნიერული მემკვიდრეობისა. პროფ. ჯავახიშვილმა კი ნ. მარრის გენიალური მიღწევა, იაფეტიოლოგიის მთელი ფილოლოგიური დისციპლინა აღიარა უნიადაგო ჰიპოთეზებად. ეს ბოლოს-და-ბოლოს მეტი რომ არ ითქვას, მხოლოდ გაბედული ჟესტია და სხვა არაფერი. ნ. მარრის მეცნიერული მემკვიდრეობის უარყოფის ცდა, ყოველშემთხვევაში ისეთი სუსტი იარაღით, როგორიც არის ჯავახიშვილის ჰიპოთეზა ქართულებრივი ენების ურთიერთობის შესახებ,—ცოტა არ იყვეს დიდი გაბედულებაა. ნ. მარრს ამ შემთხვევაში ჩვენი დაცვა არ ესაჭიროება. აქ კი აღვნიშნავდით მხოლოდ, რომ რაც ადრე ქართულ უნივერსიტეტში ნ. მარრს აღმოუჩნდებიან მემკვიდრენი, რომელნიც წაიყვანენ იაფეტიდოლოგიის თეორეტიულ მუშაობას იმ ფართო მასშტაბით, რომლითაც აწარმოებს მას ნიკო მარრი, მით უფრო ნაყოფიერი იქნება ეს მეცნიერებისათვის საზოგადოდ, და ქართული კულტურისათვის კერძოდ.

**პავლე ინგოროყვა.**

14—2.

p. s. შემდეგ ნომერში: ქართული ანბანის წარმოშობის საკითხზე.

*) თარიღი, რომლის უადრეს ვერ დაიწერებოდა ეს ხელნაწერი არის 786 წელი—აბოს წამების დატა: აბოს ხსენება უკვე შეტანილია ამ ხელნაწერში. თარიღი რომლის უგვიანეს ვერ დაიწერებოდა იგი არის 853 წელი, ატენის სიონის წარწერის მიხედვით; იადგარში ასო ვ—იე ჯერ კიდევ თავ-შეკრულია, მაშინ როდესაც 853 წლისა და შემდეგი დროის პალეოგრაფიულ ძეგლებში იგი უკვე თავგახსნილია.

**) პაპირუსის ფსალმუნი, რომელიც მიაჩნდათ მე-VII-VIII საუკუნის ძეგლად, ეკუთვნის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარს.

*) იხ. მოკლე ცნობა ამავე ხელნაწერზე მარრის ახალ შრომაში К изучению современного грузинского языка. ბლაიკი მის მიერ აღმოჩენილ მანუსკრიპტს ეძახის მერვე საუკუნის ხელნაწერს, მაგრამ რადგან იგი არ იცნობს ქართული პალეოგრაფიის ახლად დადგენილ პრინციპებს, ასეთი შეცდომა თარიღში არ არის გასაკვირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხანი იყო კომუნისტური პირველ მანიფესტშიც კი აღიარა ბელა-კუნეს პირით ეს გარანტიები.

დღეს ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ სრულიად მოსპო ეს დაპირება. შესაძლებელია რუსეთში, სადაც მწერლობას აქვს უზარმაზარი ბაზარი-ეს მწერლობას კიდეც გახარებოდეს, მაგრამ საქართველოში სადაც ყოვლად შეუძლებელია წიგნის ბაზარი ისე მოეწყოს, რომ წიგნმა თავის თავი გამოიყიდოს ამ გარანტიების მოსპობა წიგნის კულტურის მოსპობას უდრის. ამიტომ იყო რომ სრულიათ საქართველოს მწერალთა კავშირმა რევოლიუციის პირველ დაწყებისთანვე, როცა ლაპარაკიც კი არ იყო სახელმწიფო გამომცემლობაზე საქართველოში თვითონ მოითხოვა სახელმწიფო გამომცემლობა და ამის შესახებ მემორანდუმიც მიართვა მაშინდელ განათლების სამინისტროს.

დღეს როგორ ვიცით სახელმწიფო გამომცემლობას ხელისუფლება დიდ ყურადღებასაც აქცევს, როგორც ვიცით კიდეც დაარსდა საგამომცემლო ფონდი, რომლის განკარგულებაშიც არის ნახევარი სახელმწიფო ბანკის შემოსავლისა. უეჭველია გამოცემის საქმე ამის შემდეგ უფრო მკვიდრ ნიადაგზე დადგება.

დღეს გამოსარკვევია ერთი საკითხი, ვინ უნდა იქნას ჩაბმული ამ აპარატში და როგორ უნდა იქნას გამოყენებული ის ელემენტი რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია საქმით, და რომლისთვისაც მწერლობა არის პროფესია. ამ საკითხს სჭირია გამორკვევა და ამის შესახებ თავის აზრს გამოსთქვამს ჩვენი გაზეთი.

ვარამ გაგელი.

# დავით მიქელაძე

ვინც ამ სტრიქონებში მსურს გამოვსახო პოეტი არ იყო, არც მხატვარი ან მსახიობი, ხოლო საუცხოვო თემა და საგანი როგორც პოეზიის ისე მხატვრობისა და სცენისათვის. მას ყველა იცნობდა ვაჟკაცურის მოხდენილობითა და სილამაზით, ახლობელნი და მეგობრები კი სულიერის სიმშვენიერითაც. ტარიელისებური სახისა და მოყვანილობის, დარბაისელი დინჯი, მძიმე, ისეთის თავდაჭერით და სიმძიმით მიმოდიოდა, თითქოს თვის ახოვანის მხარბეჭით ატარებდა თავის ქვეყნისა და გვარის წარსულს.

არიან ადამიანები, რომელნიც თავის სიცოცხლეში ერთს ლექსსაც ვერ დასწერენ, მაგრამ პოეტურის გრძნობითა და განცდით ათასჯერ უფრო მდიდარნი არიან ვიდრე მრავალი სახელ მიღებული, მდაბიო პოეტი.

მრავლათ არიან ღვთისაგან უხვად დაჯილდოვებულნი, ავსილნი დიდის ჭკუით და უაღრესის კეთილშობილებით, რომელთაც შეფერის ცხოვრების მეთაურობა მის ზედა პირზე დგომა. ესენი თითქოს განმწმენდილნი ყოფილან თვის ძალთა მიხედვით, მიხედვით იმ ძლიერი ზედმოქმედებისა, რომელსაც ისინი სხვებზე ახდენენ. ცხოვრებას თავისი სურვილები უკარნახონ. მაგრამ უკუღმართ ბედის ტრიალს ცხოვრების უფსკრულში ჩაუტაცნიათ და მაშინ როდესაც მრავალი, გონებით სუსტი, ნებით საპყარი, სულით მაშვრალი თავის სახელს ისტორიის ფურცლებზე სწერს, ეს უკანასკნელნი უხმოდ და უკვალოთ ქრებიან, კაცთ ჟრიამულის ქაოსში, ბედითი ცხოვრების სარბიელიდან.

დღეს გავერანებულს და ყველასაგან მიტოვებულ ქუთაისში, სიცოცხლეს განეშორა მისი მშფოთვარე ხანის ერთი დიდი მოწამე და მონაწილე გასული საუკუნის მეორე ნახევარში. ეს იყო **დავით მიქელაძე.**

ჯერ კიდევ გუშინ ახლო წარსულში, „სავარდო და სამაისო“ ქუთაისში ცხოვრება სჩქეფდა განუმეორებელის და მიუბაძველის ეშხითა და ლაზათით. „დიდი დათიკო“—ასე უწოდებდენ მას ახლობელნი, ყველგან, ყველას ყურადღების შუაგული იყო, მაგრამ არც ერთ კუთხესა და ქალაქს იგი ისე არა შვენოდა როგორც ქუთაისს. მან ამოსწურა და გააცოცხლა თავის არსებაში იმერეთის სილამაზე.

მცირესთან ლმობიერი, სწორთან ღირსეული, ძლიერთან უდრეკი ნამდვილი ძველი ქართველი რაინდი იყო. მე შეგნებულათ არ ვუწოდებ მას დენდს ან ჯენტლმენს, რადგან მგონია, ქართველი რაინდი უფრო მეტია. მე ვიცი მის საფლავზე ყველა ვერ მივა ვინც უნდა მისულიყო, ვერ დაიტირებს ძველ ქართველურად, შესაფერისად მეც მათთანა ვარ! შორით გესალმები. მშვიდობით კეთილშობილო ქართველო გამოძახილო დიდ წარსულისა.

გრიგოლ ლაღიძე.

# ახალი მწერლობის კავშირი

## ვახტანგ კოტეტიშვილის მოხსენება

კვირას 11 თებერვალს გაიმართა **ახალი მწერლობის კავშირის მორიგი საჯარო სხდომა**, რომელზედაც ვახტანგ კოტეტიშვილმა წაიკითხა მოხსენება: „სანდრო ყაზბეგი“.

მოხსენების მთავარი პუნქტები: ალ. ყაზბეგი არ არის ბუნების მხატვარი, როგორც ეს საზოგადოდ ჰგონიათ. თუ ზოგჯერ მაგარი სიტყვები ებადება ამ ბუნების ასაწერად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნებაში დინამიზმს დაინახავს. და ესეც მისთვის მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება, რომ უფრო გაამახვილოს ბრძოლის ტემპერამენტი.

ბრძოლა, დინამიზმი არის მისი შემოქმედების ღერძი-კონკრეტული შემთხვევა, ხევის ბრძოლისა რუსეთთან, მის შემოქმედებაში აყვანილია ზოგად პრობლემამდე: ბრძოლა „ცივილიზაციისა“— „ველურობასთან“. ამ უკანასკნელში ყაზბეგი ჰხედავს პიროვნების მთლიანობას, როდესაც პირველი ადამიანს გადააქცევს ნივთად. ეს აზრი სიყვარულზე არის ნაცადი, რომელიც გაბმულ კატასტროფებით თავდება. ამ კატასტროფების მიზეზი კი ის „ახალი ძალაა“, ან „ახალი დრო“, რომელიც არყევდა თემის საძირკველს და დანგრევას უქადდა. ყაზბეგს სიყვარული თავის-და თავად მძაფრად აქვს წარმოდგენილი. აქ ნამდვილი სქესიანობაა, ხორციელობა, რადგან სულიერი სილამაზე მთაში საძიებელი არ არის. იქ იგი მოცემულია თავისით აპრიორულად, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ყაზბეგი ძლიერია მასსის აღწერაში. თემი ბჭობს, ლოცულობს. ასამართლებს, იარაღდება და სხ... ყველაფერი ეს დიდი ექსპრესიით აქვს გადმოცემული. აქ ამჟღავნებს იგი დიდ სიყვარულს თემისადმი. და ამ სიყვარულის მთავარი მიზეზი არის პიროვნების ღირებულების შეგნება. რომელიც თემს დადად სწამს.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე დანაშაულის და სასჯელის პრობლემას, რომელიც ყაზბეგის შემოქმედებაში არის მოცემული, როგორც დაპირისპირების მომენტი. დანაშაულისა და სასჯელის პრობლებით შეიძლება გ დასწყდეს ამა თუ იმ ერისა კულტურის საკითხიც. აქ ყაზბეგი თემს ამაღლებს, რადგან იქ შიშით და დანანებით სწყვეტენ საკითხს, როცა ახალი ძალა უანგარიშოთ ანადგურებს უდანაშაულოსაც კი.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ყაზბეგის გმირები პიროვნებები არიან და არა ტიპები, რადგან ყაზბეგი ჰხატავს ხევის აფორიაქებულ ცხოვრებას, და ტიპები კი მხოლოდ დამცხრალ პირობებში შეიძლება რომ არსებობდნენ. კიდევ: ყაზბეგის გმირები ყველგან იმარჯვებენ, იმარჯვებენ სიკვდილითაც, გარემოს კი არ ემორჩილებიან არასოდეს, ტიპი კი გარემოს გამარჯვებაა, მაშასადამე დამარცხების დამღით მოარული.

მომხსენებელმა ყაზბეგი დაახასიათა როგორც პოლიარული მწერალი, და გაავლო პარალელი ყაზბეგსა და ვაჟას შორის. ვაჟა რელიგიით მოვიდა მთასთან. ყაზბეგი კი ეთიკით; ვაჟას მთაში გუდანი ეჩვენებოდა, ყაზბეგი კი კაცს ძმობასა და ხანჯალს აფიცებდა.

დასასრულ, ყაზბეგის შემოქმედება დახასიათებულ იქმნა როგორც დამძიმებული მტეხიარე განცდებით. როგორც მღელვარე შინაგანი ენერგიით, და როგორც თავისებური, იშვიათი და ღირსსაცნობი მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში.

შემდეგ ილაპარაკა გრიგოლ რობაქიძემ. მან აღნიშნა: მომხსენებლის აზრი ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის დაპირისპირების შესახებ (თითქო პირველის მიდგომა მთასთან იყოს რელიგიური და მეორესი კი ეთიური) არ არის მართალი. უფრო სწორია შემდეგი. ორივე ახასიათებს მთა და მთის პსიხიკა-„თემი“ სხვაობა კი ამრიგი: ვაჟა პოეტია და თემის პსიხიკა მითოსში გახსნილ ეჩვენება მას (აქედან: მისი მთის ათვისება “მითოლოგიურია“. ყაზბეგი არ არის პოეტი და მთის პსიხიკა „ამბებში“ იხსნება მისთვის (აქედან: მისი მთის ათვისება „ლიტერატურულია“). ეს არის თავიდათავი ორივეს შეგნებაში.

შემდეგ გრ. რობაქიძემ წამოაყენა თვითონ პრობლემა „თემის“. თემში ინდივიდი იმდენად არის ფასეული, რამდენად იგი ელემენტია და ორგანო გვარის“, მთელის თაობის. თემი უყვარს ყაზბეგს. ხოლო იწყება ტრაგიზმი. ინდივიდსაც უნდა „თავისი“ სიცოცხლე. ეს „თავისი“ ინდივიდუალურ სიყვარულში ცხადდება. (არა ოჯახურში). როგორც კი ინდივიდი დაეწაფება ასეთს სიყვარულს, იმწამსვე იგი უხვევს თემის კანონს, მის სჯულს,-და იღუპება (თემიც იშლება ამით. ხოლო ორივე მხარე მართალია და მაშასადამე მათი შებმა ძალზე ტრაგიული.რომ კიდევ უფრო გამძაფრდეს ეს ტრაგიულობა, ყაზბეგს შეჰყავს რომანიულ ხლართში „ძმაფიცულობა“. ძმაფიცულს „უყვარს“ ხოლმე თავის ძმის საყვარელი. აქაც ორმაგი სიმართლეა. ქალიც გრძნობს ამას და თანდათან ფიცის გამტეხის მხარისაკენაც იხრება ეს პსიხოლოგიზმი მახასიათებელია ყაზბეგის.

დასასრულ გრ. რობაქიძემ აღნიშნა ყაზბეგზე ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: ვაჟა და ყაზბეგი ინდივიდუალურად („ეკზემპლარულად“) შესაძლოა უფრო ნაკლები ტალანტის იყვნენ ვიდრე ილია ან აკაკი, მაგრამ შემოქმედების გენია მათში უფროა ცეცხლოვანი· ეს შესაძლოა მით აიხსნებოდეს, რომ ვაჟასა და ყაზბეგის პსიხიკაში საქართველო ცოცხლობდა როგორც „მთელი“ როგორც დიადი არსება.

შესაძლოა ამით აიხსნებოდეს ისიც, რომ „ბარში“ ქართველი ქალის ეროტიულობა მიმქრალია, ყაზბეგის ქალებში კი სექსუალობა ძალზე სენსუალურია.

გრ. რობაქიძის აზრით' ყაზბეგის გმირები არც „ტიპებია“ და არც „პიროვნებანი“: ისინი „ხასიათებია“.

კიდევ ილაპარაკეს მოსე თოიძემ და მ. ბოჭორიშვილმა. საღამოს ხალხი ბევრი დაესწრო.

# უცხოეთის ქრონიკა

## ინგლისი

ინგლისის ფილოსოფია ძლიერ ეტანება ბოლო ხანებში ტეოსოფიას. ითარგმნება რუდოლფ შტაინერი. ინტერესს იწვევს აგრეთვე საფრანგეთის ნეოკათოლიკური ფილოსოფია. აქედან: დიდი ინტერესია მწერალ პეგისა და პოეტ პოლ კლოდელისადმი.

ლოკმა დასწერა ახალი რომანი— „ტრაბახა“, გმირი გამოყვანილია როგორც დონ-კიხოტი მასხარას სამოსელში.

ამერიკელ მილლიარდელმა ენდრიუ კარნეჯიმ დასწერა ავტობიოგრაფია, როგორც ამბობენ, მეტად საინტერესო.

გამოვიდა ახალი მოთხრობა რაბინდრანატ ტაგორის „დანგრევა“. კრიტიკა აღნიშნავს დიდს სტილისტურ სიწმინდეს მოთხრობისას და აგრეთვე მის მძაფრ აღმოსავლურ არომატს.

1921 წელს შესრულდა 300 წელი ინგლისური პრესსის არსებობის.

გამოვიდა მეთორმეტე (და უკანასკნელი) ტომი ინგლისურად დოსტოევსკის ქმნილებათა. თარგმნა დაწყებული იყო ცხრა წლის წინად. მთარგმნელი— ქალი მარნეტ.

გამოვიდა ახალი წიგნი უელსის: „ხსნა ცივილიზაციის“. ხსნას იგი ხედავს კოლლექტივიზმში.

გამოვიდა პროფესსორ გერარის გამოკვლევა ფრანგულ გენიის შესახებ ევროპის კულტურის ვითარებაში.

გამოვიდა წიგნი ლორდ ბალფურის: სპეკულიატივური და პოლიტიკური ესკიზები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თავი ესთეტიკის შესახებ.

სესილ ბუტმა გამოუშვა გამოკვლევა კოზიმო პირველზე (ფლორენციის ჰერცოგი). მოცემულია სურათი ფლორენციისა რენესანსის .

გამოვიდა გამოკვლევა ჰაროლდ ნიკოლსონის პოლ ვერლენზე. გამოკვლევა კრიტიკის აზრით კაპიტალურია.

ოკსფორდის უნივერსიტეტმა გამოსცა არიგარ დასის მიერ შედგენილი ბიოგრაფია ინდოელ პოეტ ქალის (ტორ დუტტ), რომელიც გარდაიცვალა 21 წლის 1877 წ., მისმა ნაწარმოებებმა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ დროს დიდი ინტერესი გამოიწვიეს.

გამოაქვეყნეს კარლაილის ბარათები მისს ჯენ ვილსონის მიმართ. გამოაქვეყნეს აგრეთვე მისი ბარათები ტომას სპედდინგის მიმართ.

გამოვიდა პედჟეტ ტოინბის კვლევა —დანტე ინგლისის ლიცერატურასა და ხელოვნებაში.

რობერტ ბრიდჟესმა დაწერა წიგნი მილტონის ლექსის ტეხნიკის შესახებ. მილტონი ეომებოდა შექსპირის ლექსის ტეხნიკას. შექსპირის ლექსი კი ინგლისურია სულით და ბუნებით. გაიმარჯვა შექსპირის ლექსმა. კიტსმა სცადა „ჰიპერიონში“ მილტონის ლექსის ტეხნიკა, მაგრამ იგრძნო მისი „მოგონილობა“ და ძალადობა და გადაუხვია მას. ყველაზე წმინდა ინგლისური ენა აქვს პოეტს ჩატტერტონს. მისი ენა განთავისუფლდა სრულიად გალური გავლენისაგან: იგი სავსებით „ჩრდილოურია“. ბრიდჟესის გამოკვლევა კაპიტალურია არა მარტო ინგლისური „თეთრი ლექსის“ შესასწავლად, არამედ ინგლისური პროსოდიის გასათვალისწინებლადაც.

კემბრიჯის უნივერსიტეტი შეუდგა შექსპირის ახალ გამოცემას. დაცულია შექსპირის პუნკტუაცია, რომლითაც ხაზი ესმება შექსპირის ლექსის რიტმის დენას.

გამოვიდა საინტერესო კრებული ჩეპმენის. წერილები: 1) ნამდვილი სახელები პოეზიაში: 2) რითმა; 3) ზეპირი წარმოთქმა; 4) ხელობა ციტატების მოყვანის; 5) მართლწერის რეფორმისათვის; 6) სინტაქსისის დაცემა და სხვა.

## გერმანია

### გამომცემლობა და განათლება

სტატისტიკა ახალი წიგნების. 1918 წ. გამოიცა 15 ათასი წიგნი. 1918—19 ათასი (—აქედან: 16 ათასი—ახალი).

სტატისტიკა უმაღლეს სასწავლებელთა. 1919 წ. უმაღლეს შკოლებში (საერთონი თუ ტეხნიკურნი) ითვლებოდენ 65 ათასი სტუდენტი. 1919 წელს— 106 ათასი. 1921 წელს (პირველ იანვ.) —130 ათასი. ახალი უმაღლესი სასწავლებელნი:

1914 წელს 18 ავგ. დაარსდა უნივერსიტეტი ფრანკფურტში (—5 ათასი სტუდენტი). 1919 წ. დაარსდა უნივერსიტეტი ჰამბურგში, 1920 წ.—კელნში მაგიერ, რომელიც ეხლა ფრანგების ხელშია) 1920 წ. გაიხსნა ფაკულტეტი სახელმწიფო მეცნიერებათა მუნსტერის უნივერსიტეტში.

კონცერტები:

ბერლინში 1920 წ. საზამთრო სეზონში: ორი ათასი კონცერტი 12 საკონცერტო ზალებში.

დიდს ინტერესს იწვევს რომანი ბერნჰარდ კელლერმანის— „9 ნოემბრის“, რომანში აწერილია გერმანიის რევოლუცია.

გერმანიაში ეხლა „სულის მფლობელი“ დოსტოევსკია. გადაითარგმნა გერმანულად ვოლინსკის გამოკვლევა დოსტოევსკიზე

გამოვიდა წიგნი მონტი იაკობსის. „სცენიური ტეხნიკა იბსენის“.

გამოვიდა მონოგრაფია გუნდოლფის სტეფან გეორგეზე.

გამოვიდა კვლევა შპეხტის: „რიჰარდ შტრაუს“.

ტეოლოგმა ჰარნაკმა წაიკითხა შესანიშნავი ლექცია: „გოეტჰეს რელიგია უზენაესს საფეხურებზე“' ჰარნაკი უარყოფს გავრცელებულ აზრს, თითქო გოეტჰე იყო არელიგიოზული. მისი აზრით გოეტჰემ გაიარა სამი საფეხური: შემეცნებითი, ხელოვნითი, რელიგიოზური.

გამოვიდა რომანისტ იაკობუს ვასსერმანის ავტობიოგრაფია: „ჩემი გზა როგორც გერმანელის და ებრაელის“.

# საქართველოს ქრონიკა

### მთავარი ხელოვნების კომიტეტი.

თანახმად ტფილისში მომხდარ ხელოვნების მუშაკთა კონფერენციის დადგენილებისა, ტფილისში არსდება მთავარი ხელოვნების კომიტეტი. ეს კომიტეტი მოეწყობა სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ მთავარ სახელოვნო კომიტეტთან, და გაირჩევა იმით, რომ ექნება მეტი კომპენტენცია. ამ კომიტეტის ხელში იქნება მთელი რესპუბლიკის ხელოვნების საქმე.

### ნოე ჩხიკვაძის ლექსები.

იბეჭდება და მალე გამოვა დიდ ტომიან წიგნათ გარდაცვალებული პოეტის ნოეტის ნოე ჩხიკვაძის ლექსები. წიგნს დართული ექნება წინასიტყვაობა გრ. რობაქიძის და ივანე გომართელის. წიგნის რედაქცია ეკუთვნის ს. აბაშელს და ობოლ მუშას.

### რუსი პოეტის მ. კუზმინის ჩამოსვლა.

რუსეთის ცნობილი პოეტი მიხაილ კუზმინი ამ დღეებში ჩამოვა ტფილისში და შემდეგ დასასვენებლად გაემგზავრება სოხუმში.

პოეტი ამ ჟამად იმყოფება ბაქოში, თავის მეგობარ პოეტ ვიაჩესლავ ივანოვთან.

კუზმინს განზრახვა აქვს ტფილისში წაიკითხოს ლექცია და მოაწყოს თავის პოეზიის საღამო.

### „აბესალომ და ეთერი“-ს მეასე წარმოდგენა.

თებერვლის 21-ს სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიდგმება მეასეჯერ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. წარმოდგენას ექნება საზეიმო ხასიათი, რადგან ასე მცირე ხნის განმავლობაში ამ ოპერ ს მეასეჯერ დადგმა არის რეკორდი.

### ზაქარია ფალიაშვილის ახალი ოპერა „დაისი“.

ზაქარია ფალიაშვილმა დასწერა ახალი ოპერა „დაისი“. წინად გაზეთების ქრონიკაში ამ ოპერას იხსენიებდნენ „ღამის თევის“ სახელით. პატივცემულმა კომპოზიტორმა ეს ოპერა აჩვენა ქართულ მუსიკის მოყვარეთ და მცოდნე მუსიკოსებს.

ყველა აღფრთოვანებით ეგებება კომპოზიტორის ახალ შემოქმედებას.

ოპერა „დაისი“ წარმოადგენს იმავე ხარისხის მიღწევას, როგორც „აბესალომ და ეთერი“.

### „ცეცხლის ხმები“.

გამოვიდა და იყიდება ახალგაზდა პროლეტარულ პოეტის **პეტრე სამსონიძის** ლექსების წიგნი—„**ცეცხლის ხმები**“. წიგნი დაბეჭდილია ძვირფას ქაღალდზე, შეიცავს 48 გვერდს და ღირს 100.000 მანეთი.

### „ლოენგრინი“ ტფილისის სცენაზე.

კოტე მარჯანიშვილი შეუდგა სახელმწიფო ოპერის თეატრში „ლოენგრინის“ დადგმის მზადებას. ტფილისის თეატრალები მოუთმენელად ელიან ამ დადგმას.

იმის გარდა, რომ კოტე მარჯანიშვილის დადგმა აინტერესებს ყველას, საინტერესოა, რომ ლოენგრინი, დიდი ხანია არ ყოფილა ტფილისის სეზონში.

### ბენეფისები ოპერის თეატრში.

სახელმწიფო ოპერის თეატრში ამ კვირიდან დაიწყება არტისტების ბენეფისები. პირველ ბენეფისს თეატრი უმართავს არტისტკა მუხტაროვას, რომელიც იმღერებს კარმენს. მუხტაროვა ცნობილია როგორც საუკეთესო კარმენის პარტიის ამსრულებელი.

სარედაქციო კოლეგია.


# ახალი მწერლობის კავშირში.

კვირას, 18 თებერვალს, ხელოვნების სასახლეში (სერგ. ქ. № 13) გაიმართება სრ. საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის მორიგი

# საჯარო სხდომა

## მიხეილ აბრამიშვილი

წაიკითხავს მოხსენებას:

„მხატვრულ შემოქმედების პროცესი“

(ვილჰელმ ჰუმბოლტ და ა. ა. პოტებნია)

სიტყვებს იტყვიან: გრიგოლ რობაქიძე და ტიციან ტაბიძე.

დასაწყისი 7 საღამოს — შესასვლელი ფასი 30.000 მანეთი

# პირველ თებერვლიდან მიიღება ხელის მოწერა

# ტიციან ტაბიძის წიგნებზე

## წიგნები გამოვა 6 ტომათ

I. „ქალდეას ბალაგანი“ წიგნი ლექსების:

1. ქალდეას ქალაქები. 2. ეფემერი მასკარადი
3. ორპირის სეზონი. 4. ცხენი ანგელოსით.

II. გრიგოლ რობაქიძე.

აპოლოგია.

III. „ცისფერი ყანწები“

იდეოლოგია და პორტრეტები

IV. დაისრული სებასტიანე.

კრიტიკული პროზა.

1. „ქართული იდეა“ 2 „პეტერბურგი“ ანდრეი ბელის.
3. „ივანე მაჩაბელი“ 4 „ნიკო ფიროსმანი“
5. „ირონია და ცინიზმი“, პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში,
6. დაისრული სებასტიანე: (საქართველო და პოეზია).
7. „ლირიკის წისქვილი“ 8 „პოეტი და გარეგნობა“,
9. ასტრალი ძაღლი. 10. საქართველოს ირრედენტა.
11 მედეას პრობლემა. 12. სიმფონია ვაჟა ფშაველასი. 13 თავადი ლოტრეამონ. და სხვა დაბეჭდილი და დაუბეჭდავი წერილები.

V. ჟიულ ლაფორგ.

წინასიტყვაობა, და თარგმანი „ფეერიული სობორო“

VI. ეპოპეა: ტიციან ტაბიძე.

ორპირის ოქროპირი.

პირველი სამი ტომი გამოვა 15 აპრილს, დანარჩენი სამი ტომი 15 ოქტომბერს. ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება ათი მანეთი ოქროთი ან ხუთი მილიონი ქართული ბონებით. ხელის მოწერა მიიღება ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) სასახლის კომენდატთან. ხელის მომწერთ შეუძლიათ პირველად გადაიხადონ ნახევარი, მეორე ნახევარი 15 აპრილიდან. ხელის მომწერნი მიიღებენ განსაკუთრებულ ბარათს. წიგნები დარიგდება მხოლოდ ხელოვანთა სასახლეში გამომცემლობას აგენტები პროვინციაში არა ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაქურიანის რკ. გზაზე მატარებელთა მიმოსვლის შემცირება

მცხოვრებთა რაოდენობის სიმცირის გამო სამგზავრო და საფოსტო მატარებელთა № 3 და 4 ყოველდღე მიმოსვლა ბაკურიანის ხაზზე ზედმეტია, და ამიტომ 5 თებერვლიდან ეს მატარებლები ივლიან კვირაში ორჯერ ამ ჟამად მოქმედ ცხრილის მიხედვით. მატარებელი № 3 გავა ბორჯომიდან ოთხშაბათობით და კვირაობით, მატარებელი № 4 გამოვა ბაკურიანიდან ბორჯომში იმავე დღეებში, ამის და მიხედვით საბარგო მატარებელს № 852 853 მიებმება თითო საკლასო ვაგონი ბაკურიან-ბორჯომს შორი ყოველ დღე, სამგზავრო ბილეთების გაყიდვით.

---

## დროებითი შეწყვეტა მატარებელთა პირდაპირი მიმოსვლისა ტფილისიდან ერევანს

მუშაობის საწარმოებლად სოღანლუღის ხიდის აღსადგენად მიმოსვლა ნავთლუღსა და სოღანლუღს შუა 7 თებერვალის დილის 8 საათიდან 12 თებერვლის დილის 8 საათამდე.

### შენარჩუნებულია ყველა მატარებლებისათვის

ამისათვის, ზემოაღნიშნულ დღეებში მუშაობის წარმოებისა სახ. მატ №№ 3 და 4 დაიწყებენ სიარულს ერევანსა და სანდარს შუა, ს. მატარებლები კი №№ 25 და 26 ჯულფასა და სანაინის შუა, შემდეგ რიცხვებში: გამგზავრება მატარებლისა № 4 ერევნიდან 7-ს და 10 თებერვალს სანდარამდის და 13 თებერვალს ტფილისამდის. გამგზავრება მატარებლისა № 3 სანდარიდან ერივანს 8-სა და 11-ს, 13 თებერვალს კი გაემგზავრება ტფილისიდან. გამგზავრება მატარებლისა № 26 ჯულფიდან 5-ს, 7-სა და 9-ს სანაინამდის, 11 თებერვალს კი—ტფილის ამდის. გამგზავრება მატ. № 25 სანაინიდან ჯულფას 7-ს, 9-სა და 11-ს 12 თებერვალს კი გაემგზავრება ტფილისიდან.

---

## საქართველოს კოოპერატიული ბანკი

თანახმად გამგეობის დადგენილებისა ა. წ. 14 იანვრის თარიღით ამით აცნობებს საკოოპერაციო და საზოგადო დაწესებულებებს, რომ იმ შემთხვევაში თუ წარსული წლის ვადაგასულ დავალიანებას სავსებით გადიხდიან ამ, თვის 31-დე, ბანკი

**იანგარიშებს მხოლოდ ოქროს კურს ს $33\frac{1}{3}\%$-ს**

1 თებერვლიდან კი კლიენტებს გადახდებათ ოქროს კურსის მთელი 100 პროცენტი.

---

## დასკვნა ბალანსის

ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების („ჩემო“)

1922 წლის 1 იანვრისთვის

### აქტივი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. კ ა ს ს ა | გირ. სტ. | 62 | 17/10 |
| 2. ჩეკები და ბანკნოტები | „ „ | 4.320 | 1/7 |
| 3. მთავრობა | „ „ | 23.565 | 7/2 |
| 4. სხვა და სხვა პირები (დებიტორები) | „ „ | 102.050 | 5/1,5 |
| 5. ტვირთმგზავნელნი (დებიტორები) | „ „ | 8 | 10/3 |
| 6. შავი ქვის მყიდველნი | „ „ | 8.273 | 3/6 |
| 7. ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოსი | „ „ | 333 | 1/7 |
| 8. საანგარიშო თანხები | „ „ | 1.045 | 10/4 |
| 9. მოძრავი ქონება | „ „ | 2.067 | 11/3 |
| 10. ავანსები მოსამსახურეებისა | „ „ | 41 | 7/7 |
| 11. შავი ქვის საზოგადოება „ჩემო“ | „ „ | 8.700 | 0/0 |
| 12. მასალები | „ „ | 73 | 13/1,1 |
| | გირ. სტ. | 150.551 | 10/1,5 |

### პასივი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. სხვა და სხვა პირები (კრედიტორები) | გირ. სტ. | 77.119 | 1/2,5 |
| 2. ტვირთმგზავნელნი (კრედიტორები) | „ „ | 36 | 14/0 |
| 3. საანგარიშო თანხები | „ „ | 5 | 7/7 |
| 4. ექსპორტი | „ „ | 11.095 | 2/9 |
| 5. გარდამავალი თანხები | „ „ | 240 | 17/7 |
| 6. კომისიები და ფრახტებისა | „ „ | 4.254 | 7/0 |
| 7. ფლესინგი და კომპ. | „ „ | 57.750 | 0/0 |
| | გირ. სტ. | 150.551 | 10/1,5 |

საზოგადოება „ჩემო ს-ს“ 1920—1921 წწ. ანგარიში დამტკიცებულია საზოგადოების წევრთა მორიგ საერთო კრების მიერ 1922 წ. დეკემბრის 26-ს შემდეგის ცვლილებით:

1. დაევალოს „ჩემო-ს“ გამგეობას გამოარკვიოს დაწვრილებით თანხა არა წესიერ ხარჯებისა, რომელიც გაწეულია ს-ების საზღვარგარეთელ ორგანიზაციების მიერ და ეს თანხა დარჩეს ბალანსში, ხოლო მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები მათი ანაზღაურებისათვის.
2. ვალი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი. რომელიც შეადგენს გირ. სტ. 10. 574 19/10, და ჩაწერილია ზარალში, დაეწეროს მათ ვალათ 1922 წ., ე. ი. დარჩეს ეს თანხა ბალანსში.
3. მიღებულ იქნას სახალხო კომისართა წარმომადგენელის განცხადება, რომელიც გააკეთა მან 1922 წ. დეკემბრის 23-ის სხდომაზე იმის შესახებ, რომ მთავრობა არ ღებულობს მასზე დაკისრებულ ვალების ნაწილს თავის თავზე, რომელიც შემდგარია კურსის სხვა და სხვაობით—58.987 2/4 გირ. სტერ.

---

## საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატი

**უნივერსალური მაღაზია № 1**
(სასახლის ქ. ჟირარდის ყოფ. მაღაზია)
მანუფაქტურა, მინის და ემალის ჭურჭელი და ფართო მოხმარების სხვა საგნები.

**მ ა ღ ა ზ ი ა № 2**
პლეხანოვის პროსპ. სახელოსნო კლუბის პირდაპირ.
ყველაფერი სასოფლო მეურნეობისათვის
სხვა და სხვა მიწის მუშაობის იარაღები

**სასურსათო მაღაზია № 3**
დესიმონოვის მოედანი, 4 (რიყე).

**თევზეულობის მაღაზია**
პუშკინის ქ. ყოფ. სემენარია.
ყოველ დღე მოდის თევზეულობის და ხიზილალის დიდი პარტიები
ფასები ბაზრის ფასებზე ნაკლებია

**კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი განყოფილება**
ევანგულოვის ქ. № 2.

ყიდულობს: აბრეშუმს, ფრიზონს, აბრეშუმის ჭარკსა და სხვა ნედლ მასალას, სასურსათო პროდუქტებს და სხვა ნაღდ ანგარიშზე საქონლის მანაცის კვალობაზე. (კრ. 116—1—1)

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ რომ **გამგეობის შემადგენლობა**

თავმჯდომარე ვ. პ. პოზადეევი

თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლევაშოვი

გამგეობის წევრნი:
- ლ. ა. ტერ-მიქაელიანი
- გ. პ. თუმანიშვილი
- ხ. ბ. მელიქ-ასლანოვი
- ა. მ. ერქომაიშვილი

შრომის დაცვის საბჭოს დადგენილებისა, 31 მაისის თარიღით და კავშირის საბჭოს დადგენილების ძალით 1922 წლის 14 სექტემბრისა, მან **დაიწყო თავის მოქმედება.**

ყველა საკომერციო და სამეურნეო საკითხების გამო უნდა მიმართონ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას**

**მისამართი:** თბილისი, ვაგზლის ქუჩა, სახლი № 1

**ტელეფონები:**
- თავმჯდომარის № 5—40
- თავმჯდომარის თანაშემწისა და გამგეობის წევრთა № 8—70
- საერთო № 4—68

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს' რომ ამავე ბანკთან ქალ. თბილისში და მის ქუთაისის განყოფილებაში.

## გახსნილია იპოტეკური განყოფილებანი

რომელთა გამგეებათ დანიშნულნი არიან: თბილისში—კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი და ქუთაისში ა. ლორთქიფანიძე.

ხსენებული განყოფილებანი აწარმოებენ ყოფილ თბილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების და თბილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების მოვალეთა დავალიანების ლიკვიდაციას, თანახმად ს. ს. საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა გწ. 28 დეკემბრის თარიღით და 16 №-თ და ამიერ-კავკასიის ფინ. სახ. კომის, რწმუნებულის სამმართველოს მიერ გაზეთებ № 549 „პრავდა გრუზია“ და № 22 „კომუნისტ“-ში ა. წ. 31, იანვარს გამოქვეყნებულ წესებისა,

სახალხო ბანკის იპოტეკური განყოფილება თბილისში მოთავსებულია შტაბის ქუჩაზე, (ყოფილი კავკასიის ბანკის შენობაში).

გ ა მ გ ე ო ბ ა.

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო

ამით აცნობებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცალკე

სახალხო **კომისარიატების**

და **დაწესებულებებს,**

რომ ამა წლის 15 იანვრიდან კრედიტით გადაზიდვა ნებადართული იქნება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში მიმდინარე

ანგარიშის უზრუნველყოფის პირობით,

ამის გამო სახალხო კომისარიატებს ვსთხოვთ მათ მუშაობაში დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად მიიღონ სასწრაფო ზომები სახელმწიფო ბანკში სათანადო კრედიტის თავის დროზე გახსნისათვის.

ედლის ხელს აწერს სამმართველოს კომერციული დირექტორი ლედერი.

ეკონომიური ნაწილის უფროსი აბელოვი.

---

სასურსათო კომისარიატის

# საფეიქრო ქარხანა

(ვორონცოვის ქუჩა № 50 ორთაჭალა)

იღებს შეღავათიან ფასებში შალეულს მოსათელავათ, დასაწმენდათ და შესაღებავათ წმინდა ქიმიური საღებავებით.

აგრეთვე ღებავს, როგორც ბამბის ისე აბრეშუმის ნაქსოვებს და ნართავს.

იქვე **იყიდება** ქარხნის ნაწარმოები: **მაუდი** სხვა და სხვა ფერების, სარფინკები, ოკსფორდი, შოტლანდკა და სხვა.

---

ამიერ კავკასიის რკინის გზა

# ჩქარი კურიერის მატარებელი

# №№ 1 და 2

## ბათომის და ბაქოს შუა დაიარება

კვირაში ორჯერ

| | | |
|---|---|---|
| | № 1 | |
| **ბათომიდან** | **ტფილისიდან** | **ბაქოში** |
| ოთხშაბათს . . . . . / შაბათს . . . . . . . . 14 ს. 20 წ. | ხუთშაბათს . . . / ორშაბათს . . . . 9 ს. 25 წ. | პარასკევს . . . . / სამშაბათს . . . 8 ს. 25. წ. |
| | № 2 | |
| **ბაქოდან** | **ტფილისიდან** | **ბათომში** |
| ოთხშაბათს . . . / შაბათს . . . . . . 19 ს. 10 წ. | ხუთშაბათს . . . / კვირას . . . . . . . 21 ს. 00 წ. | პარასკევს. . . . / ორშაბათს . . . . 12 ს. 05 წ. |

მატარებელში არის საწოლი და საჯდომი ადგილები პლაცკარტებით. დაცულია ყოველი სისუფთავე. განათებულია ელექტრონით და დაუგება ცალკე ვაგონ-რესტორანი.

ბილეთების აღება და ადგილები როგორც რბილი დასაჯდომი, ისე მაგარ დასაჯდომებზე უზრუნველყოფილია.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.

სამხედრო-სანოვაო კომისარიატის სტამბა.